

ედიშერ ჭელიძე

„ ფ ს ა ლ მ უ ნ თ ა “
ახალი გამოცემის გამო



მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის
ქართული ეკლესია



გამომცემლობა
„ ა ხ ა ლ ი ი ვ ი რ ო ნ ი “

თბილისი
2006

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი : ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი ანა ჭუმბურიძე

მომგაღლა საქართველოს სააბრიაოკოსთან არსებულ „ლიტურგიის
კომისიამ“ (თავმჯდომარე: მიტროპოლიტი იოზი). გასაპრსულებლად
ნებაღართულია აღნიშნული კომისიის მიერ

© ედიშერ ჭელიძე

Edisher Chelidze, Concerning The New Edition of
PSALMS Tb. 2006

„ფსალმუნთა“ წიგნის განსაკუთრებული ლიტურგიკული მნიშვნელობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართველი მოღვაწეები თითქმის ყოველ ეპოქაში უჩვეულო ძალისხმევას იჩენდნენ აღნიშნული წიგნის ქართულად თარგმნა-რედაქტირების საღვთო საქმეში. ცნობილია, რომ ჩვენთვის დიდად დამაშვრალმა წმინდანმა გიორგი მთაწმინდელმა ეს შეუფასებელი სიკეთეც მოჰმადლა თავის ერს – რამდენიმეგზისი დაუღალავი მცდელობით სრულად შეუჯერა მან „ფსალმუნთა“ არსებული თარგმანი ბერძნულ ნუსხებს, გამოიძია ეკლესიის მამათა შესაბამისი კომენტარებიც და გაუხუნარ განძად დაგვიტოვა ყოვლითურთ განსრულებული ტექსტი, მისივე შეფასებით, „ყოვლითა ჭეშმარიტებითა სავსე“. XI ს-ის შუა წლებიდან მოკიდებული სწორედ წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმან-რედაქციას ეფუძნებოდა და ეფუძნება საქართველოს ეკლესიის სამღვდელმსახურო წიაღი.

ქამთვითარებაში ესოდენი სიწმინდით შემოსილი „სპეკალი მართლმადიდებლობისა“ მნიშვნელოვნად შეიბღალა უმეცარ გადამწერთა ხელში, რაც სამწუხაროდ დღესაც გრძელდება, მიწყებით იბეჭდება რა უკიდურესად გაუკუღმართებული ტექსტები, სადაც დარღვეულია თითქმის ყველა ნორმა ძველი ქართული ენისა. შედეგად სახეზეა გაუგებარი, დამახინჯებული ტექსტის მექანიკური დაზეპირება-დაზუთხვანი მრევლისგან, სამღვდელოთაგან და ამ სახით

ჩართვა ფსალმუნებისა უწმინდეს მღვდელმსახურებაში თუ პირად ლოცვებში.

ამგვარი მძიმე მდგომარეობა იმითაცაა განპირობებული, რომ ბოლო წლებამდე კვლავაც ნარჩუნდება სამწუხარო დაცილება მეცნიერებისა და სარწმუნოებისა. ცხადია, ქართულმა მეცნიერებამ თავიდანვე ცხოველი ინტერესი გამოავლინა „ფსალმუნთა“ წიგნის მიმართ, რამაც წარმატებული ხორცშესხმა კპოვა აკად. მ. შანიძის აღიარებულ პუბლიკაციაში: „ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X – XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით“ (თბ. 1960), რასაც მოგვიანებით მკვლევარმა საგულისხმომ გამოკვლევაც მოადევნა (მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ 1979), მაგრამ აღნიშნული გამოცემა (რომ არაფერი ვთქვათ გამოკვლევაზე), სარწმუნოებრივი ინტერესებისათვის და, სახელდობრ, ლიტურგიკული მიზანდასახულობით საგანგებოდ არავის გამოუყენებია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ ხანს განხორციელებულ რამდენიმე პუბლიკაციას, სადაც არის მცდელობა მ. შანიძის გამოცემით სარგებლობისა, თუმცა პროფესიული მოუმზადებლობა მრავალი ცთომილების მიზეზი გამხდარა).

რაც შეეხება მ. შანიძის ზემომითითებულ შრომებს, თუნდაც რომ არ ვეთანხმებოდეთ პატივცემული მკვლევარის მოსაზრებას „ფსალმუნთა“ ქართულად თარგმნისა და ზოგი ფსალმუნური ნუსხის რედაქციული რაობის შესახებ (ამასთან დაკავშირებით იხ. ედიშერ ჭელიძე, წმინდა წერილის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ძირითადი ეტაპები, „მცხეთური დავითნისა“ და „ადიშის ოთხთავის“ მაგალითზე, წიგნში: „ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში“, თბ. 2004, გვ.327-345), შეუძლებელია

ღირსეულად არ შევაფასოთ ის წველილი, რაც მისმა აღნიშნულმა პუბლიკაციამ შეიტანა ქართული ბიბლიოლოგიის განვითარების საქმეში.

ამ გამოცემიდან ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადღებაამისაქცევია „ფსალმუნთა“ საკუთრივ წმ. გიორგი მთაწმიდლისეული თარგმან-რადაქცია. აღნიშნული თარგმან-რადაქციის დასადგენად მ. შანიძის მიერ გამოყენებულია XIII ს-ის სამი მნიშვნელოვანი ნუსხა, რომელთაგანაც მკვლევარს უპირატესობა მიუნიჭებია იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერისთვის Jer.161 (მ. შანიძის გამოცემაში იგი აღნიშნულია ლიტერით G). დანარჩენი ორი ნუსხის, - კერძოდ იმავე იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ხელნაწერის Jer.133-ის (მ. შანიძის გამოცემაში აღნიშნულია ლიტერით H) და პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების მანუსკრიპტის B 1-ის (მ. შანიძის გამოცემაში აღნიშნულია ლიტერით L) მონაცემები უდიდესწილად სქოლიოშია ჩატანილი, როგორც მკდარი ფორმები.

როდესაც გიორგისეული თარგმან-რადაქციის შემცველ ნუსხათა აკარგიანობაზე ვმსჯელობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობისა, ცხადია, არის სექტუაგინტის ბერძნული ტექსტი, რომელთან მიმართებითაც მ. შანიძეს მართებულად აქვს გამოვლენილი და გასწორებული არა მხოლოდ H და L ნუსხათა ცალკეული შეცდომები, არამედ ზოგჯერ – G ხელნაწერისაც, თუმცა, ვფიქრობთ, ამგვარი სამუშაო (სექტუაგინტასთან ქართული ნუსხების ტექსტობრივი შედარება) ბოლომდე უნდა ყოფილიყო მიყვანილი, რასაც, სამწუხაროდ, ზემორე პუბლიკაციაში ვერ ვამჩნევთ. სწორედ ბერძნულთან არასრული შედარების შედეგია ის, რომ

საკმაოდ ხშირად მკვლევარისგან ზედმეტი ნდობა აქვს გამოცხადებული G ნუსხას, თუმცა ამ უკანასკნელის მონაცემი, სექტუაგინტის (და სხვა წყაროთა) კვალობაზე, არაზუსტია, H და L-ისა კი – სწორი.

აღნიშნავთ იმასაც, რომ გიორგისეული ტექსტის პუბლიკაციისას წმ. ეფრემ მცირისგან თარგმნილ-შედგენილი „ფსალმუნთა განმარტებების“ გამოუყენებლობა მ. შანიძის მიერ ჩვენთვის აუხსნელია, მით უმეტეს, რომ ეფრემს, როგორც თავად გვაუწყებს, ხსენებულ „განმარტებებში“ წარმოდგენილი ფსალმუნური მუხლები სიტყვა-სიტყვით გადმოუწერია გიორგისეული ტექსტიდან, ამასთან, ეფრემის ეს შრომა შემონახულია უძველესი, ეფრემისვე ავტოგრაფიდან 1091 წ.-ს იოანე მთავარაისძის მიერ გადაწერი ნუსხით (შეიცავს მხოლოდ 76 ფსალმუნს). მართალია, მკვლევარი მოგვიანებით აღნიშნავს, რომ მისგან გამოყენებული ნუსხები „თითქმის მთლიანად ემთხვევა“ ეფრემისეულ ტექსტს, მაგრამ ეს ასე არაა. ეფრემთან სახეზეა ცალკეული მნიშვნელოვანი დაზუსტებანი ზემორე ნუსხებისა ანდა მხარდაჭერა ამათუიმ ნუსხის მკვლევარისგან მცდარად მიჩნეული მონაცემისადმი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თავისთავად სათითაოდაა შესასწავლი ეფრემთან დაცული გიორგისეული ტექსტის იმგვარი მონაცემები, რომლებიც დაცილებულია სექტუაგინტისგან და წინათონურ რედაქციებთან დგება (საგულეებელია, რომ გიორგის მხრიდან არაერთ და არაორჯერადად მომხდარა უკვე გარკვეულწილად გასწორებული და მიმოქცევაში გაშვებული თარგმან-რედაქციის შემდგომი კორექტირება. შესაბამისად, უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ეტაპის ტექსტი ეპყრა ხელთ ეფრემს და სხვა ეტაპისა – ვთქვათ L ნუსხის სკრიპტორს. ისიც საფიქრებელია, რომ, მიუხედავად თა-

ვად გიორგი მთაწმიდლის მკაცრი გაფრთხილებისა, რომ არანაირად არ შეხებოდნენ მის თარგმანს, ბერძნულთან მიმართებით მცირეოდენ კორექტირებას ეს თარგმანი მოგვიანებით მაინც განიცდიდა).

დავძენთ იმასაც, რომ გიორგისეულ ფსალმუნთა გამოცემისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო საბასეული ტექსტიც, რადგან აშკარაა, რომ საბას უსარგებლია ძალიან საყურადღებო ხელნაწერით, რომელიც მონათესავე ყოფილა შემომითითებული L ნუსხისა. ამიტომაც, რომ საბასთან ცალკეულ შემთხვევებში უფრო მართებული მონაცემია, ვიდრე მ. შანიძის პუბლიკაციაში (საბასეული ტექსტის მნიშვნელობა გიორგისეული თარგმან-რედაქციის ტექსტობრივი დადგენის საქმეში, სამწუხაროდ, შეუმჩნეველი დარჩა ე. დოჩანაშვილსაც, რომელსაც ეკუთვნის საბასეული ბიბლიის, - მათ შორის „ფსალმუნთა“, - გამოცემა; იხ. მცხეთური ხელნაწერი, თბ. 1983, გვ.3-4).

შესაძლოა სხვა ძეგლის მიმართ ნაკლებმნიშვნელოვანი ჩანდეს ცალკეული ფორმებისა და კატეგორიებისადმი საგანგებო ყურადღების მიქცევა, მაგრამ „ფსალმუნნი“ ის წიგნია, სადაც მეორეხარისხოვანი არაფერია ანუ სადაც დიდად მნიშვნელოვანია, თუ რომელი ზმნური ფორმაა მართებული - მომავლის გამომხატველი თუ წარსულისა, სადაც თავისი დატვირთვა აქვს მაკავშირებელ სიტყვებს და სადაც უთუოდ მნიშვნელობს თვით ნაწილაკებიც კი. ამ ყოველივეს ზედმიწევნით აცნობიერებდა დიდი ქართველი ღვთისმეტყველი და ამიტომაც მიმართავდა იგი საგანგებოდ თავის უაღრესად ღრმა ანდერძში გადაამწერებს, რომ არ გამოჩინოდათ მათ თუნდაც კავშირი „და“ ან „რამეთუ“. მოკუსმინოთ: „ნუცა „დონ-ანსა“ (=„და“) დააგდებთ და ნუცა „რამეთუსა“. და ესე ესრე ეგების

გონიერისაგან გულისკმისყოფად, რომელ იგი „დონ-ანი“ ჩუენცა ვიცოდით და თუმცა რას ავნებდა, გინა იგი, გინა სხუაჲ რომელიცა სიტყუაჲ, არა დაუტეობდით, არცა აღ-მოვჰვოცდით“ (ფსალმუნის ძველი ქართული ... , გვ.027).

სწორედ წმ. გიორგი მთაწმიდლის ზემორე ანდერძის კვალზე, შევეცადეთ ბერძნულთან მიმართებით ძალისამებრ გამოწვლილვით შეგვესწავლა „ფსალმუნთა“ გიორგისეული თარგმანის მითითებული ნუსხები (და ნაწილობრივ ეფრემისეული ტექსტი), რომ ამ გზით დაგვედგინა უფრო მართებული წაკითხვები და შეძლებისდაგვარად შეგვესწორებინა დასახელებული პუბლიკაცია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ყველა შემთხვევაში ჩვენ უპირატესობას ვანიჭებდით ანუ მართებულ წაკითხვად მივიჩნევდით და ძირითად ტექსტში ვრთავდით სწორედ იმ წყაროს მონაცემს, რომელიც ბერძნულთან თანმხვედრი აღმოჩნდებოდა (ხსენებული მონაცემის წარმომავლობითი კვალიფიკაციის გარეშე ანუ იმაზე კომენტირების გარეშე, გიორგისეული ტექსტის რომელი ეტაპის ან რა სახის გვიანდელი სავარაუდო კორექტირების ამსახველი შეიძლებოდა ყოფილიყო იგი).

წარმოდგენილი პუბლიკაციის ტექსტობრივი სიახლეები რომ თვითნებურ ცვლილებებად არ იყოს მკითხველის მიერ აღქმული, ქვემოთ სათითაოდ წარმოვადგენთ დასაბუთებებს იმ შესწორებებისას, რაც შევიტანეთ მ. შანიძისეულ გამოცემაში (წარმოდგენილი განხილვები ასეა აგებული: ჯერ ვუთითებთ შესაბამის ფსალმუნურ მუხლს, შემდეგ მოგვაქვს ტექსტი მ. შანიძის გამოცემიდან, ბოლოს კი ვიძლევიტ ჩვენეულ შესწორებას და სათანადო დასაბუთებას):

ფს. 1.3:

„რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისა“
ეფრემთან სახეზეა „გამოსცეს“, რაც მართებულია, რადგან ბერძნულში გვაქვს მყოფადი (ὁ τὸν καρπὸν αὐτοῦ δῶσει ἐν καιρῷ αὐτοῦ), რომლის შესატყვისად ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, II კავშირებითი გამოიყენებოდა (შდრ. წინაათონური ტექსტი: „რომელმან გამოსცეს ხილი თვისი ჟამსა თვისა“; შდრ. ფს.84.13: „ქუეყანამან ჩუენმან გამოსცეს ნაყოფი თვისი“- ἢ γῆ ἡμῶν δῶσει τὸν καρπὸν αὐτῆς; აგრეთვე ფს.83.7: „კურთხევაა მოსცეს, რომელმანცა შჯული დადვა“- εὐλογία δῶσει ὁ νομοθετῶν და ა.შ.).

ფს.3.3:

„მრავალთა პრქვან სულსა ჩემსა: არა არს ცხორებაჲ მისი ღმრთისა მიერ მისისა“

ეფრემთან დამატებულია „ღიაფსალმაჲ“, რაც არის ბერძნულშიც: πολλοὶ λέγουσιν τῆ ψυχῆ μου Οὐκ ἔστιν σωτηρία αὐτῷ ἐν τῷ θεῷ αὐτοῦ. **διὰ ψαλμα** (შდრ. წინაათონური ტექსტი, სადაც გვხვდება „ღიაფსალმის“ ძველი ქართული შესატყვისი „განსუენებაჲ“: „მრავალთა პრქვან სულსა ჩემსა: არა არს ცხორებაჲ მისა ღმრთისა მიერ მისისა. განსუენებაჲ“; ტერმინ „ღიაფსალმის“ შესახებ იხ. მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ 1979, გვ. 97-100).

ფს.3.5:

„ვმითა ჩემითა უფლისა მიმართ ღალად-ვეყავ და შეესმა ჩემი მთით წმიდით მისით“

ეფრემთან აქაც ერთვის „ღიაფსალმაჲ“, რაც, ასევე, არის ბერძნულშიც:

φωνῆ μου πρὸς κύριον ἐκέκραξα, καὶ ἐπήκουσέν μου ἐξ ὄρου ἀγίου αὐτοῦ. **διάψαλμα** (შდრ. წინაათონური ტექსტი, სადაც კვლავ გვხვდება „ღიაფსალმის“ ძველი ქართული შესატყვისი „განსუენება“: „ვმითა ჩემითა უფლისა მიმართ ღალად-ვყავ და შეესმა ჩემი მთით წმიდით მისით. განსუენება“).

ფს.4, სათ.:

„დასასრულსა გალობათასა ფსალმუნნი“

L ნუსხა უმატებს: „დავითისი“, რაც დასტურდება ეფრემთანაც: „დასასრულსა გალობათასა ფსალმუნნი დავითისი“. ეს მითითება არის ბერძნულშიც: Εἰς τὸ τέλει, ἐν ψαλμοῖς· ᾠδὴ τῷ Δαυιδ.

ფს.8.4:

„რამეთუ ვიხილენ მე ცანი“

G ნუსხაში ნაცვლად ნამყო წყვეტილისა, ე. ი. ნაცვლად დასრულებული წარსულის გამომხატველი ფორმისა „ვიხილენ“ გვაქვს, პირუკუ, მომავლის გამომხატველი II კავშირებითი „ვიხილნე“.

აღნიშნული „ვიხილნე“ გვხვდება ეფრემთანაც და თანხვდება ბერძნულს, სადაც სახეზეა მყოფად:

ὅτι **ὄψομαι** τοὺς οὐρανοὺς (შდრ. სეპტუაგინტის ინგლისური თარგ.: For I will regard the heavens).

ფს.9.11:

„და გესვიდენ შენ ყოველნი“

ეფრემთან ნაცვლად სიტყვისა „შენ“ გვაქვს „შენდამი“, რაც თანხვდება ბერძნულს:

καὶ ἔλπισάτωσαν ἐπὶ σὲ οἱ ...

პარალელისთვის შდრ. ფს..63.2: „შეისმინე, ღმერთო, ჯმისა ჩემისაჲ, გვეედრებოდი რაჲ მე შენდამი“.

ფს.9.17:

„განცხადებულ არს უფალი ყოფად საშჯელისა, საქმითა ველთა თვსთაჲთა შეიპყრა ცოდვილი“

ეფრემთან დამატებულია „ღიაფსალმაჲ“, რაც არის ბერძნულშიც: γινώσκειται κύριος κρίματα ποιῶν, ἐν τοῖς ἔργοις τῶν χειρῶν αὐτοῦ συνελήμφθη ὁ ἄμαρτανός. ᾧδῆ **διαψάλλματος.**

საგულისხმოა წინაათონური ტექსტიც, სადაც გვხვდება „ღიაფსალმის“ ძველი ქართული შესატყვისი „განსუენებაჲ“:

„განცხადებულ არს უფალი ყოფად საშჯელისა თვისისა, საქმითა ველთა თვისითაჲთა შეიპყარნ ცოდვილი. განსუენებაჲ“.

ფს.9.21:

„გულისჴმა-ყვედ წარმართთა, რამეთუ კაცნი არიან“

ეფრემთან აქაც ერთვის „ღიაფსალმაჲ“, რაც, ასევე, არის ბერძნულშიც: γινώσταν ἔθνη ὅτι ἄσθραποι εἰσιν. **διάψαλμα.**

ფს.9.36:

„შეჴმუსრე მკლავი ცოდვილისაჲ“

უმჯობესი ჩანს H ნუსხის წაკითხვა: „შემუსრე“, რადგან ბერძნულში გვაქვს არა ნამყო დრო (თხრობით კილოში), როგორც უთუოდ გაგებული იქნება მკითხველის მიერ ზემორე „შეჴმუსრე“, არამედ – ბრძანებითი (შდრ. ბერძ. σύντριψον τὸν βραχίονα τοῦ ἄμαρτανου).

ფს.16.14:

„განძლეს ჭამადითა და დაუტევეს ნეშტი ყრმათა მათთა“
ეფრემთან არის არა „ჭამადითა“, არამედ – „შვილებითა“, რაც მ. შანიძის აზრით საკუთრივ ეფრემისეული თარგმანია (და არა გიორგისეული). ამგვარი რამ თავისთავად, ცხადია, გამორიცხული არ არის, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საეჭვოა, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ეფრემს ყოველგვარი მითითების გარეშე პრინციპულად შეეცვალა გიორგის ტექსტი, მაშინ როცა სხვაგან, უფრო ზუსტი შესატყვისის მითითებისას, იგი თავის აზრს მხოლოდ სქოლიოში გამოთქვამს, ფსალმუნის ტექსტში კი კვლავაც უცვლელად ტოვებს გიორგისეულ მონაცემს (იხ. ქვემოთ. ფს.40.10; ფს.54.9). ბერძნულში ძირითადი წაკითხვა ჩანს „შვილთა“ შესატყვისი $\sigma\iota\upsilon\nu$ (შდრ. . $\acute{\epsilon}\chi\omicron\rho\tau\acute{\alpha}\sigma\theta\eta\sigma\alpha\nu \sigma\iota\upsilon\nu$ και $\acute{\alpha}\rho\eta\kappa\alpha\nu \tau\grave{\alpha} \kappa\alpha\tau\acute{\alpha}\lambda\omicron\iota\upsilon\pi\alpha \tau\omicron\iota\varsigma \nu\eta\pi\acute{\iota}\omicron\iota\varsigma \alpha\upsilon\tau\acute{\omega}\nu$), რადგან უფრო ხშირად სწორედ ეს სიტყვაა კომენტირებული ბიზანტიელ ღვთისმეტყველთა მიერ (შდრ. ეფრემის მიერ დამოწმებული მოძღვარნი: „ათანასი-სი: << ვითარ-იგი განძლეს შვილებითა >> - რამეთუ საქმეთა მათთა „შვილებად“ უწოდა ... რაოდენნიცა შვილნი ებაძვნენ ბოროტებასა მშობელთასა, ეგოდენნიცა თანაზიარ იქმნენ მისაგებელთა ტანჯვათა მათთასა. კვრილესი: ... და შვილთა, მობაძავთა მამულისა უღმრთოებისათა, „შვილებად“ მიეცემის მამულთა მოსაგებელთა მკვდრობისად“; აღნიშნული ციტატებისთვის იხ. მ. შანიძე, დასახ. გამოკვლევა, გვ.212). ებრაულში, მ. შანიძისვე მითითებით, არის „ძეები“ ანუ „შვილები“ (ინგლ. თარგ. **children**, იქვე, გვ.212, შენ.21). იგივე „ძეები“ ანუ „შვილებია“ სახეზე ლათინურ ვულგატაში: *adimpletus est venter eorum saturati sunt filiis et dimiserunt reliquias suas parvulis suis*; შდრ. ფრანგ. *tu remplis leur ventre de tes biens; Leurs enfants sont rassasiés, Et ils*

laissent leur superflu à leurs petits-enfants. ინგლ. You still the hunger of those you cherish; their sons have plenty, and they store up wealth for their children; რუს. სინოდალ. КОТОРЫХ ЧРЕВО ТЫ НАПОЛНЯЕШЬ ИЗ СОКРОВИЩНИЦ ТВОИХ; СЫНОВЬЯ ИХ СЫТЫ И ОСТАВЯТ ОСТАТОК ДЕТЯМ СВОИМ და სხვ.).

ფს.18.9:

„სიმართლენი უფლისანი წრფელ არიან და ახარებენ გულთა“

L ნუსხაში გვაქვს მხოლოდითი „გულსა“, რაც თანხვედბა ბერძნულს: τὰ δίκαιώματα κυρίου εὐθνήα, εὐφραίνοντα καρδίαν (შდრ. ლათ.: iustitiae Domini rectae laetificantes corda).

ფს.32.9:

„რამეთუ მან თქუა და იქმნეს“

ნაცვლად ფორმისა „იქმნეს“ ეფრემთან არის „იქმნეს“, რაც უთუოდ უმჯობესია, რადგან ზემორე „იქმნეს“ ძველი ქართულისთვის ნიშნავს: „შეიქმნას (იგი)“, მაშინ როცა მოცემულ ადგილას ნამყო გვაქვს: „შეიქმნენ (ისინი)“. შდრ. ბერძ.: ἀντὸς ἐνετείλατο, καὶ ἔκτισθησαν (შდრ. ინგლ თარგ. For he spoke, and they were made).

ფს.33.11:

„მდიდარნი დაგლახაკდეს და შეეშია“

უმჯობესია „დაგლახაკენს“, რაც დასტურდება HL-ში და ეფრემთან.

ფს.35.13:

„მუნ დაეცნეს ყოველნი მოქმედნი უმჯულოებისანი, განვარდენ და ვერლარა უძლონ დადგომად“

ნაცვლად სიტყვისა „განმისუენო“ ეფრემთან გვაქვს „განვისუენო“, რაც კონტექსტსაც ზედმიწევნით თანხვდება და ბერძნულ ორიგინალსაც, სადაც გვაქვს: ἀναψύξω (=სული მოვითქვა; შდრ. ლათ. remitte mihi ut refrigerer priusquam abeam; შდრ. ინგლ. Spare me, that I may be refreshed, before I depart). წინაათონურ რედაქციაშიც სწორედ „განვისუენო“ გვაქვს (შდრ. „მილხინე მე, რაფთა განვისუენო ვიდრე მოსლვად ჩემდამდე“).

ფს.39.10:

„ვახარე სიმართლე შენი ეკლესიასა შინა დიდსა“

სიტყვა „შენი“ არ გვხვდება ეფრემთან, ისევე როგორც არც HL ნუსხებში. იგივე ვითარება გვაქვს ბერძნულში, სადაც H.B. Swete-ს მოწმობით მხოლოდ ერთი ნუსხა შეიცავს „შენის“ შესატყვის ძოთ-ს, ყველა სხვა კი (მის მიერ გამოყენებულ ნუსხათაგან) უგულბელყოფს მას (შდრ. ლათ.: adnuntiavi iustitiam in ecclesia magna).

ფს.40.10:ⲡⲚ

„რომელი ჭამდა პურსა ჩემსა, მან განადიდა ჩემ ზედა შეტყუილი“

ბერძნულში „შეტყუილის“ შესატყვისია **πτερυσμός** (შდრ. ὁ ἐσθίων ἄρτους μου, ἐμεγάλυνεν ἐπ' ἐμὲ πτερυσμόν), რაც ეფრემ მცირის მითითებით ქართულად უნდა ითარგმნოს სიტყვით „წიხნაჲ“ (იხ. მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ 1979, გვ.183-184; 211). ამასვე ადასტურებს სხვაენოვანი თარგმანები (შდრ. ლათ. qui edebat panes meos magnificavit super me **subplantationem**; ინგლ. who ate my bread, lifted up his heel against me; რუს. სინოდალური გამოც. который ел хлеб мой, поднял

ნაცვლად სიტყვისა „განმისუენო“ ეფრემთან გვაქვს „განვისუენო“, რაც კონტექსტსაც ზედმიწევნით თანხვდება და ბერძნულ ორიგინალსაც, სადაც გვაქვს: ἀναψύξω (=სული მოვითქვა; შდრ. ლათ. *remitte mihi ut refrigerer priusquam abeam*; შდრ. ინგლ. *Spare me, that I may be refreshed, before I depart*). წინაათონურ რედაქციაშიც სწორედ „განვისუენო“ გვაქვს (შდრ. „მილხინე მე, რაათა განვისუენო ვიდრე მოსლვად ჩემდამდე“).

ფს.39.10:

„ვახარე სიმართლე შენი ეკლესიასა შინა დიდსა“

სიტყვა „შენი“ არ გვხვდება ეფრემთან, ისევე როგორც არც HL ნუსხებში. იგივე ვითარება გვაქვს ბერძნულში, სადაც H.B. Swete-ს მოწმობით მხოლოდ ერთი ნუსხა შეიცავს „შენის“ შესატყვის ძოვ-ს, ყველა სხვა კი (მის მიერ გამოყენებულ ნუსხათაგან) უგულებელყოფს მას (შდრ. ლათ.: *adnuntiavi iustitiam in ecclesia magna*).

ფს.40.10:

„რომელი ჭამდა პურსა ჩემსა, მან განადიდა ჩემ ზედა შეტყუილი“

ბერძნულში „შეტყუილის“ შესატყვისია *πτερνισμός* (შდრ. ὁ ἐσθίων ἄρτους μου, ἐμεγάλυσεν ἐπ' ἐμὲ *πτερνισμόν*), რაც ეფრემ მცირის მითითებით ქართულად უნდა ითარგმნოს სიტყვით „წიხნაჲ“ (იხ. მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ 1979, გვ.183-184; 211). ამასვე ადასტურებს სხვაენოვანი თარგმანები (შდრ. ლათ. *qui edebat panes meos magnificavit super me subplantationem*; ინგლ. *who ate my bread, lifted up his heel against me*; რუს. სინოდალური გამოც. *который ел хлеб мой, поднял*

на меня пята; გერმ. der mein Brot aß, tritt mich unter die Füße; ფრანგ. qui mangeait mon pain, Lève le talon contre moi და ა. შ.). შესაბამისად, ჩვენ ამ შემთხვევაში უპირატესობას ვანიჭებთ ეფრემისეულ შეთავაზებას.

ფს.41.2:

„ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართა წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“

L ნუსხაში ორივეგან არის „სურინ“ („ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართა წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“), რაც მართებული ჩანს, რადგან ბერძნულშიც და სხვა ენებზეც ორივე შემთხვევაში ერთიდაიგივე ფორმა გვაქვს ზმნისა.

აი, ბერძნული ტექსტი:

Ὁν τρόπον ἐπιποθεῖ ἡ ἔλῃφος ἐπὶ τὰς πηγὰς τῶν ὑδάτων, οὕτως ἐπιποθεῖ ἡ ψυχὴ μου πρὸς σέ, ὁ θεός (ლათ.: quemadmodum desiderat cervus ad fontes aquarum ita desiderat anima mea ad te Deus).

ფს.41.10:

„ვარქუ ღმერთსა: მწე ჩემდა ხარ“

L ნუსხაში გვაქვს არა „ვარქუ“ (=ვეუთხარი), არამედ - „ვარქუა“, resp. „ვრქუა“ (=ვეუთხრა, ვეტყვი), რაც უთუოდ მართებული ფორმაა, რადგან ზედმიწევნით თანხვედება ბერძნულს: ἔρω τῷ θεῷ Ἐπιλήμπτωρ μου εἶ (შდრ. ლათ. dicam Deo susceptor meus es; შდრ. ინლ. I will say to God, Thou art my helper). სხვათაშორის, აღნიშნული მონაცემი ტექსტის გვიანდელი სწორების (ან თვით გიორგისგან ანდა მომდევნო ეპოქის უცნობი მოღვაწისგან) ნათელი ნიშნუ- შია. საქმე ისაა, რომ L ნუსხაში, როგორც მივუთითებ-

დით, გვაქვს „ვარქუა“ და არა „ვრქუა“, როგორც მოსალოდნელი იყო, რადგან „ვარქუა“ თავისთავად შეუძლებელი ფორმაა. მაგრამ საიდან უნდა მიგველო იგი? ეჭვი არაა, რომ გასწორების ავტორი მუშაობს „ფსალმუნთა“ არსებულ ტექსტზე (სადაც იყო „ვარქუ“), უდარებს მას ბერძნულს და, აღმოაჩენს რა, რომ ამ უკანასკნელში დასტურდება არა ქართული „ვარქუ“-ს ანუ ნამყო წყვეტილის შესაბამისი $\epsilon\acute{\iota}\pi\omicron\nu$, არამედ მყოფადის შინაარსის შემცველი II კავშირებითის ტოლფარდი $\epsilon\acute{\iota}\rho\acute{\omega}$, სათანადოდ ასწორებს კიდევ ზემორე სიტყვას, ურთავს რა მას ბოლოში „ა“-ს, რომ მიიღოს „ვრქუა“, თუმცა ავიწყდება ამოფხიკოს თვით სიტყვის შიგნით ზედმეტი „ა“ და ნუსხაში თავს იჩენს უჩვეულო ფორმა: „ვარქუა“. შეიძლებოდა ისიც გვეფიქრა, რომ თვით გიორგი მთაწმინდელი თავისი თარგმან-რედაქციის შემუშავებისას სუფთა (დაუწერელ) ფურცლებს კი არ იყენებდა (რომ თავიხი ახალნათარგმნი ჩაეწერა შიგ), არამედ მას, ჩანს, ხელთ ჰქონდა წინაათონური რედაქციის შემცველი ერთ-ერთი (ცხადია, საუკეთესო) ნუსხა, და სწორედ მასში ახდენდა, ბერძნულის კვალობაზე, სათანადო ჩასწორებებს. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ზემოგანხილული მაგალითის მსგავსი ლაფსუსი, რაც თავს იჩენს ფს.108.19-ში. აღნიშნული მუხლი ასეთ ტექსტს შეიცავს: „ეყავნ მას ვითარცა სამოსელი, რომელ შთაიცუამს, და ვითარცა სარტყელი, რომელსა მარადის გარეშეირტყამს“. დავუკვირდეთ ხაზგასმულ სიტყვებს: „რომელ შთაიცუამს“. აშკარაა, რომ მცდარია „რომელ“, რადგან აუცილებელია მიცემითი ბრუნვა: „რომელსა“ (ე. ი. „რომელსა შთაიცუამს“; შდრ. მუხლის მომდევნო ნაწილი: „რომელსა მარადის გარეშეირტყამს“). მაგრამ რა უნდა იყოს აღნიშნული ლაფსუსის მიზეზი?

საქმე ისაა, რომ წინაათონურ რედაქციაში დასტურდება სწორედ „რომელ“ (შდრ. „ეყავნ მას წყევამ ვითარცა სამოსელი. რომელ შთაიცვს და ვითარცა სარტყელი, რომელ შეირტყის მან წელთა მისთა“), თუმცა იქ შეცდომას ადგილი არა აქვს, რადგან ზმნა „შთაცუმა“ II ხოლმეობითშია წარმოდგენილი და იგი პირდაპირ დამატებას („სამოსელს“) წრფელობით-სახელობითში მოითხოვს; ეგევე ვითარება გვაქვს მომდევნო ზმნასთან „შერტყმა“, რომელიც ასევე II ხოლმეობითში დგას და პირდაპირ ობიექტს („სარტყელს“) წრფელობით-სახელობითში შეიწყობს („სარტყელი, რომელ შეირტყის“).

გიორგი, ახდენს რა, ბერძნულის მიხედვით, წინაათონური რედაქციის შემცველი ნუსხის გადამუშავებას თვით ამ ნუსხაშივე, მართებულად ასწორებს ზმნა „შთაცუმა“-ს მწკრივს, რადგან სეპტუაგინტის მიხედვით უთუოდ საჭიროა არა II სერიის II ხოლმეობითი „შთაიცვს“, არამედ - I სერიის აწმყოს მწკრივი „შთაიცუამს“ (შდრ. σ περιβάλλεται. შდრ. ინგლ. as a garment which he puts on). ასევე ასწორებს იგი მომდევნო ზმნის მწკრივსაც: „გარეშეირტყამს“ (შდრ. წინაათონური „შეირტყის“), თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას არ ავიწყდება სათანადოდ შეცვალოს პირდაპირი ობიექტის ბრუნვაც („რომელსა გარეშეირტყამს“), მაშინ როცა პირველ შემთხვევაში ზმნას თუმცა მართებულად უცვალის მწკრივს, მაგრამ მხედველობიდან რჩება, რომ შეცვალოს ნაცვალ-სახელის ბრუნვაც. ასეთ რამეს, ცხადია, უშუალოდ ნუსხაში ჩასწორებისას თუ ექნებოდა ადგილი, თორემ გიორგის რომ საკუთარი ხელით სუფთა ფურცელზე დაეწერა ახალი ტექსტი, მსგავსი მექანიკური ცთომილება ვეღარ გამოავლენდა თავს.

ფს.43.24:

„აღდეგ და ნუ დამაგდებ ჩუენ სრულიად“

ნაცვლად სიტყვისა „დამაგდებ“ L ნუსხაში გვაქვს „განმაგდებ“, რაც ზედმიწევნით თანხველება ბერძნულს: ἀνάσθησι καὶ μὴ ἀπώσῃ εἰς τέλος (შდრ. რუს. отгонять, изгонять; ლათ. ne repellas in finem; ინგლ. arise, and do not cast us off for ever).

ფს.50.21:

„მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაქნი“

H-ში ნაცვლად ვნებითისა „შეიწირნენ“ (ნიშნავს: „შეიწირებიან“) გვაქვს მოქმედებითი „შეწირნენ“ (ნიშნავს: „შეწირავენ“), რაც ზედმიწევნით თანხველება ბერძნულს: ὅτε ἀνοίσουσιν ἐπὶ τὸ θυσιαστήριόν σου μόσχους (შდრ. ლათ. tunc inponent super altare tuum vitulos; ინგლ. then shall they offer calves upon thine altar; შდრ. რუს. сиюнодал. таяრგმანი: тогда возложат на алтарь Твой тельцов, და ა. შ.).

შესაძლოა H ნუსხის მონაცემი გვიანდელი დაზუსტება იყოს, რადგან ეფრემთანაც „შეიწირნენ“ გვაქვს, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ სწორედ ხსენებული მონაცემია მართებული (პარალელისთვის შდრ. ფს.67.30: „ტაძრით შენით იერუსალემით შენდა შეწირონ მეფეთა ძღუენი“ - ἀπὸ τοῦ ναοῦ σου ἐπὶ Ἱερουσαλημ σὸς οἴσασιν βασιλεῖς δῶρα).

ფს.52.4:

„ყოველთავე მიაქციეს ერთბამად [და უ]კმარ იქმნეს“

მ. შანიძის მიერ კავებში აღდგენილი „და“ ერთი შეხედვით თითქოს მართებულია, მაგრამ საყურადღებოა, რომ ბერძნული ტექსტი და L ნუსხა არ შეიცავს ზემოთ „და“-ს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ „და“-ს ვერ ვხვდებით ვერც ეფრემთან. ორიგინალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მ. შანიძის პუბლიკაციაში დასაზუსტებელია პუნქტუაცია. კერძოდ, აუცილებელია მძიმის დასმა სიტყვასთან „მიაქციეს“, რითაც წინადადება ასე სწორდება: „ყოველთავე მიაქციეს, ერთბაშად უკმარ-იქმნეს“. ზედმიწევნით ასეა ბერძნულში: πάντες ἐξέκλιναν, ἅμα ἡχραεώθησαν (შდრ. ინგლ. They have all gone out of the way, they are together become unprofitable).

ფს.53.3:

„ღმერთო, სახელითა შენითა მაცხოვრე მე და ძალითა შენითა მისაჯო მე“

ეფრემთან ნაცვლად კავშირებითისა „მისაჯო“ გვაქვს ბრძანებითი: „მისაჯე“, რაც უთუოდ მართებულია, რადგან წინმსწრები „მაცხოვრე“-ც ბრძანებითია და თვით ბერძნულშიც ორივეგან ბრძანებითი გვაქვს:

Ὁ θεός, ἐν τῷ ὀνόματί σου **σῶσόν** με καὶ ἐν τῇ δυνάμει σου **κρίνόν** με (შდრ. ლათ. Deus in nomine tuo **salvum me fac** et in virtute tua **iudica me**).

ამასვე ადასტურებს ისიც, რომ შესიტყვება **κρίνόν** **με** კიდევ რამდენიმეგზის გვხვდება „ფსალმუნთა“ ბერძნულ ტექსტში და ყველგან გიორგის თარგმანში შესატყვისია „მისაჯე მე“. აი, სათანადო ნიშნუშები:

ფს.7.9: **κρίνόν** **με**, κύριε - „მისაჯე მე, უფალო“.

ფს.25.1: **κρίνόν** **με**, κύριε, ὅτι ἐγὼ ἐν ἀκαρίᾳ μου ἐπορεύθην - „მისაჯე მე, უფალო, რამეთუ მე უმანკოებითა ჩემითა ვილოდე“.

ფს.34.24: **κρίνόν** **με** κατὰ τὴν δικαιοσύνην σου, κύριε - „მისაჯე მე, უფალო, სიმართლითა ჩემითა“.

ფს.42.1: κρῖνόν με, ὁ θεός, καὶ δίκασον τὴν δίκην μου - მისაჯე მე, ღმერთო, და საჯე შჯაჲ ჩემი“.

ფს.54.9:

„მოველოდე ღმერთსა, მაცხოვარსა ჩემსა სულმოკლებისაგან და ნიავექარისა“

ტერმინი „ნიავექარი“ კიდევ შვიდგზის დასტურდება „ფსალმუნთა“ გიორგისეულ თარგმანში (ფს.10.6; 49.3; 80.8; 82.16; 106.25; 106.29; 148.8). ეს სიტყვა ნაკლებად იტყვეს შესაბამისი ბერძნული **καταιγίς**-ის მნიშვნელობას (რომელიც ნიშნავს „გრიგალს“, „ქარიშხალს“), რადგან ცალკე „ნიავე“ თვით გიორგისთვისაც იმავეს ნიშნავს, რასაც – ჩვენთვის დღეს („სიო“, „ნაზი, მსუბუქი ქარი“). ამის ნათელი დადასტურებაა „ფსალმუნთა“ ერთი მუხლი, სადაც „გრიგალის“ დაცხრობა და მისი ნიავედ ქცევაა ნაუწყები: ფს.106,29 – „და უბრძანა გრიგალსა, და იქცა ნიავედ, და დასცხრეს ღელვანი მისნი“. ბერძნულში აქ „ნიავის“ შესატყვისია **ἀνρα**, რაც სწორედ „სიოს“ ნიშნავს (შდრ. καὶ ἐπέταξεν τῇ καταιγίδι, καὶ ἔστη εἰς ἀνραν, καὶ ἐσίγησαν τὰ κύματα ἀπ᾽αὐτῆς). ასევეა სხვა ენებზეც: ინგლ. ინტერნ თარგ.: He stilled the storm to a whisper; სუბტუაგინტის ინგლ. თარგმ. And he commands the storm, and it is calmed into a gentle breeze; რუს. სინოდალ. თარგმ.: Он превращает бурю в тишину და მისთ. ეფრემის მითითებით, ნაცვლად „ნიავექარისა“ უმჯობესია სწორედ „გრიგალი“ (შდრ.: „ნიავექარისა წილ უმრავლესთა საფსალმუნეთა ქარი გრიგალი წერილ არს“, იხ. იხ. მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ 1979, გვ. 211).

ზემორე და ყველა სხვა მითითებულ ფსალმუნურ მუხლში გვხვდება სწორედ „გრიგალის“ აღმნიშვნელი

καταιγίς (შდრ. προσεδεχόμενῃ τὸν σάζοντά με ἀπὸ ὀλιγοψυχίας καὶ **καταιγίδος**. შდრ. ლათ. expectabam eum qui salvum me fecit a pusillanimitate spiritus et a tempestate; ინგლ. I waited for him that should deliver me from distress of spirit and tempest). წინამდებარე გამოცემაში ვითვალისწინებთ წმ. ეფრემ მცირის შენიშვნას და ყველგან „ნიაკქარს“ ვცვლით „გრიგალით“.

ფს.56.4:

„გამოავლინა ზეცით და მაცხოვნა მე და მისცნა საყუედრელად დამთრგუნველნი ჩემნი“

ეფრემთან დამატებულია „**ღიაფსალმა**“, რაც არის ბერძნულშიც: ἐξ ἀπένστειλεν ἐξ οὐρανοῦ καὶ ἔσωσέν με, ἔδωκεν εἰς ὄνειδος τοὺς καταπατοῦντάς με. **διάψαλμα** (შდრ. ლათ. misit de caelo et liberavit me dedit in obprobrium conculcantes me **diapsalma**). დავძენთ, რომ ეფრემთან „**ღიაფსალმა**“ გვხვდება აგრეთვე 53.8 და 56.3 მუხლების შემდეგ, რასაც სექტუაგინტის ჩვენთვის ცნობილ გამოცემებში შესატყვისი არ ეძებნება (ეს გამოცემები, ცხადია, სრული არ არის).

ფს.57.5:

„გულისწყრომა მათი მსგავს არს გუელისასა და ასპიტისა ყრუესა“

მოცემულ ადგილას „და“ კავშირი თითქოს საჭიროა და ალბათ ამიტომაც გაჩნდა, თან საკმაოდ მალე, რადგან ეფრემთან უკვე გვხვდება იგი, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეფრემი იქვე უმატებს სიტყვას: „**ვითარცა**“ („გულისწყრომა მათი მსგავს არს გუელისასა და **ვითარცა** ასპიტისა ყრუესა“). ვფიქრობთ, საჭირო იყო გამომცემლის-

გან კვლავაც მეტი ყურადღების მიქცევა L ნუსხის მონაცემზე, სადაც „და“ კავშირის ნაცვლად გვაქვს სწორედ „ვითარცა“, რაც ზედმიწევნით თანხვედბა ბერძნულს: *θυσμὸς ἀπὸ τοῦ κατὰ τὴν ὁμοίωσιν τοῦ ὄφρατος, ὡσεὶ ἀσπίδος κωφῆς καὶ βυσσῆτος τὰ ἅτα ἀπὸ τῆς* (შდრ. ლათ. *furor illis secundum similitudinem serpentis sicut aspidis surdae*; შდრ. ინგლ. თარგ. *Their venom is like that of a serpent ; as that of a deaf asp*).

ფს.59. სათ.

„დასასრულსა, ცვალებულთათჳს; მერმეცა ძეგლის წერაჲ“

HL ნუსხებში გვაქვს „ცვალებადთათჳს“, რაც მართებულია, რადგან ბერძნულში სახეზეა მყოფადის მიმღეობა (და არა ნამყოსი, როგორც ეს G ნუსხაშია): *τοῖς ἀλλιωθησομένοις* (შდრ. ლათ. *his qui inmutabuntur*. შდრ. ინგლ. *for them that shall yet be changed*). ამასთან, მ. შანიძის პუბლიკაციაში გათვალისწინებული არ ჩანს H. B. Swete-ს გამოცემის Rahlfs-ისეული შესწორება, რადგან დატოვებულია სწორედ Swete-ს პუნქტუაცია. კერძოდ, ზემორე ტექსტში არასწორადაა დასმული წერტილ-მძიმე. მართლაც, სიტყვა „მერმეცა“, Rahlfs-ის მიხედვით, მიეკუთვნება არა „ძეგლისწერას“, არამედ ზემოხსენებულ სიტყვას „ცვალებადთათჳს“, ე. ი. აქ საუბარია „კვლავაც შესაცვლელთა“ (და არა „კვლავაც ძეგლისწერის“) შესახებ. აი, ბერძნული ტექსტი მთლიანობაში: *Εἰς τὸ τέλος· τοῖς ἀλλιωθησομένοις ἔτι, εἰς στήλογραφίαν* (შდრ. ინგლ. *For the end, for them that shall yet be changed ; for an inscription*).

აღნიშნულის კვალობაზე, ალბათ, ზემორე ტექსტს ასეთი სახე უნდა ჰქონდეს:

„დასასრულსა, ცვალებადთათჳს მერმეცა; ძეგლისწერაჲ“.

ფს.59.11:

„ვინ მიმიყვანოს მე ქალაქსა მას ძნელსა?“

И ნუსხაში გვაქვს: „შეცვულსა“, რაც ზედმიწევნით თანხვედბა ბერძნულს: τίς ἀνάξει με εἰς πόλιν περιουχίς; (შდრ. ლათ. quis deducet me in civitatem munitam ?).

ფს.65.15:

„საკუერთხები ტვნოანი ... ზუარაკები და ვაცები“

ეფრემთან დამატებულია „ღიაფსალმა“, რაც არის ბერძნულშიც: ὀλοκαυτώματα μεμυαλωμένα ... βόας μετὰ χιμάρων. **διὰψαλμα** (შდრ. ლათ. holocausta medullata ... boves cum hircis **diapsalma**; შდრ. წინაათონური ტექსტი, სადაც გვხვდება „ღიაფსალმის“ ძველი ქართული შესატყვისი „განსუენება“: „საკუერთხი ტუინოანი ... ზუარაკები და ვაცები. განსუენება“). ანალოგიური შემთხვევები „ღიაფსალმის“ დამატებისა ქვემოთაც გვხვდება და მათზე საგანგებოდ აღარ აღენიშნაეთ.

ფს.66.4:

„აღგიარებლედ შენ ერნი, ღმერთო, აღგიარებლედ შენ ერნი ყოველნი“

ეფრემთან ორივეგან გვაქვს: „აღგიარებლენ“, რაც მართებული ჩანს, რადგან აღნიშნული წინადადება მეექვსე მუხლში კვლავ მეორდება და ამჯერად უკვე ის ნუსხებიც, რასაც მ. შანიძის გამოცემა ეყრდნობა, ორივეგან -ნარს“ შეიცავს (და არა „ღონს“): „აღგიარებლენ შენ ერნი, ღმერთო, აღგიარებლენ შენ ერნი ყოველნი“ (შდრ. ბერძნ.: ἔξομολογησάσθωσάν σοι λαοί, ὁ θεός, ἔξομολογησάσθωσάν σοι λαοὶ πάντες ... ἔξομολογησάσθωσάν σοι λαοί, ὁ θεός, ἔξομολογησάσθωσάν σοι λαοὶ πάντες).

ფს.66.5:

„რამეთუ შენ განსაჯნე ერნი“

ღ ნუსხაში ნაცვალსახელი „შენ“ გამოტოვებულია, რაც თანხვედბა ბერძნულს: ὄτι κρινεῖς λαοὺς (შდრ. ლათ. quoniam iudicas populos).

ფს.67.22

„ხოლო ღმერთმან შემუსროს თავები მტერთა მისთაჲ, თხემით [თ]მითურთ“

ნაცვლად სიტყვისა „თხემით“ ღ ნუსხაში გვაქვს „თხემი“ („თხემი თმითურთ“). როგორც ჩანს, სხვა ნუსხათა დედნებშიც იგივე ეწერა, რაც ამ ნუსხათა გადამწერთ გაუაზრებით როგორც: „თხემით მითურთ“, რაც მ. შანიძეს შეცდომად მიუჩნევია (შესაძლოა, წინაათონური თარგმანის კვალობაზე) და კვადრატულ ფრჩხილებში აღუდგენია მეორე „თ“ (თხემით [თ]მითურთ), თუმცა მოცემულ ადგილას საუბარია იმის შესახებ, რომ ღმერთი შემუსრავს თავისი მტრების თავებს, თხემს თმითურთ. ზედმიწევნით ამგვარი ტექსტია ბერძნულში: πλὴν ὁ θεὸς συσθλάσει κεφαλὰς ἐχθρῶν αὐτοῦ, κορυφὴν τριχὸς διαπορευομένων ἐν πλημμελείαις αὐτῶν (შდრ. ლათ.: verumtamen Deus confringet capita inimicorum suorum verticem capilli; შდრ. ინგლ. But God shall crust the heads of his enemies ; the hairy crown of them).

ფს.68, სათ.:

„დასასრულსა, ცვალებულთათჳს“

ამჯერადაც ბერძნულთან თანხვედრია ღ ნუსხა, სადაც გვაქვს „ცვალებადთათჳს“. შდრ. ბერძნ.:

Εἰς τὸ τέλος, ὑπὲρ τῶν ἀγλοιωθησομένων·

ფს.70.24:

„პრცხუენოდის და კდემულ იყვენენ, რომელნი ეძიებდეს ძვრსა ჩემსა“

L ნუსხაში გვაქვს „ეძიებენ“. იგივე ფორმაა ეფრემთანაც („ ... რომელნი ეძიებენ ძვრსა ჩემსა“), რაც ზედმიწევნით თანხვედება ბერძნულის აწმყოს მიმღეობას: αἰσχυσθῶσιν καὶ ἐντραπήσιν οἱ ζητοῦντες τὰ κακὰ μοι (შდრ. სეპტუაგინტის ინგლ. თარგ.: they shall be ashamed and confounded that seek my hurt).

ფს.73.1

„რად განგვშორებ ჩუენ, ღმერთო, სრულიად? განრისხდა გულისწყრომაჲ შენი ცხოვართა ზედა სამწყომსა შენისათა“

ეფრემთან არის არა აწმყოს გამომხატველი „განგვშორებ“, არამედ ნამყო წყვეტილის „განგვშორენ“, რაც ზედმიწევნით თანხვედება ბერძნულს: Ἰνα τί ἀπώσασ, ὁ θεός, εἰς τέλος; (შდრ. ინგლ.: Wherefore hast thou rejected us, O God, for ever? შდრ. ლათ.: quid Deus reppulisti in finem iratus est furor tuus super oves pascuae tuae). აქვე, უმჯობესად მიგვაჩნია, რომ „განრისხდა“ შევცვალოთ ეფრემთან დადასტურებული ფორმით: „განრისხნა“, ხოლო „სამწყომსა“ – ფორმით „სამწყსომსა“, რაც ასევე ეფრემთან გვხვდება.

ფს. 79, სათ.:

„ცვალებულთათჳს, წამებაჲ ასათჳსის“

ამჯერადაც ბერძნულთან თანმხვედრია L ნუსხა, სადაც გვაქვს „ცვალებადთათჳს“

ასევეა ბერძნულში:

Εἰς τὸ τέλος, ὑπερ τῶν ἀγλωιωθησομένων.

ფს.79.4:

„ღმერთო ძალთაო, მომაქციენ ჩუენ“

სიტყვა „ძალთაო“ არ არის HL ნუსხებში, რაც მართებულია, რადგან ამას ადასტურებს ბერძნული. აი, სეპტუაგინტის ტექსტი: ὁ θεός, ἐπίστρεψον ἡμᾶς (შდრ. ლათ. ვულგატა: Deus converte nos; შდრ. ინგლ. Turn us, O God).

G ნუსხაში სიტყვა „ძალთაო“ გადმოსული ჩანს წინაათონური თარგმანიდან: „ღმერთო ძალთაო, მომაქციენ ჩუენ“. პარალელი აღნიშნულ სიტყვას მოეპოვება სომხურში:

Աստուած ԿՅՈՒՐԷՒՆԵՑ, դարձի ԿՄՆԿ (იქვე სქოლიოში მითითებულია, რომ ԿՅՈՒՐԷՒՆԵՑԻს ანუ „ძალთა“ შესატყვისი აკლია ებრაულს).

ფს.79.19:

„და არა განგეშორნეთ ჩუენ შენგან და დიდებისაგან წყალობისა შენისა მაცხოვნნე ჩუენ“

ხაზგასმული სიტყვები აკლია როგორც ბერძნულს, ისე ყველა სხვა ჩვენთვის ცნობილ ტექსტს, მათ შორის წინაათონურ რედაქციას, თუმცა ერთი რამ ცხადია:

სიტყვა „შენისა“-ს შემდეგ მძიმე ან წერტილმძიმე უნდა დაისვას. ასევეა ბერძნულშიც: καὶ οὐ μὴ ἀποσταῶμεν ἀπὸ σοῦ, ζαῶσεις ἡμᾶς. წინაათონური: „არა განგეშორენით ჩუენ შენგან, არამედ შენ მაცხოვნენ ჩუენ“; შდრ. ინგლ. So will we not depart from thee: thou shalt quicken us).

ფს.83.2:

„ვითარ საყუარელ არიან საყოფელნი შენნი, უფალო ძალთაო!“

ხაზგასმული სიტყვა აკლია L ნუსხას, რასაც შემთხ-

ვევითობად ვერ მივიჩნევთ, რადგან იგივე ნაკლებობა სახეზეა ბერძნულში:

Ἦς ἀγαπητὴ τὰ σκηνώματά σου, κύριε τῶν δυνάμεων (შდრ. ლათ. *quam dilecta tabernacula tua Domine virtutum*).

ფს.87, სათ.:

„დასასრულსა, მალეთისთვს“

HL ნუსხებში გვაქვს „მაელეთისთვს“, რაც უფრო სწორი ფორმაა. შდრ. სეპტუაგინტა: μαελεθ (შდრ. ლათ. *Maeleth*).

ფს.88.7:

„რამეთუ ვინ ღრუბელთა შინა ესწოროს უფალსა და ემსგავსოს უფალსა ძეთა შორის ღმრთისათა?“

თანდებული „შინა“ L-ში შეცვლილია თანდებულით „შორის“, რაც უფრო მართებული ჩანს, რადგან აღნიშნულ მუხლში სახეზეა პარალელიზმი:

„ღრუბელთა შორის“ – „ძეთა შორის“.

ეს პარალელიზმი სუსტდება, როდესაც „შორის“ იცვლება „შინა“-თი.

შდრ. სეპტ.:

ὅτι τίς ἐν νεφέλαις ἰσωθήσεται τῷ κυρίῳ, καὶ τίς ὁμοιωθήσεται τῷ κυρίῳ ἐν σίῳς θεοῦ;

ფს.91.5:

„რამეთუ მახარე მე დაბადებულითა შენითა, უფალო“

H ნუსხაში სიტყვა „უფალო“ გვხვდება მესამე სიტყვის შემდეგ („რამეთუ მახარე მე, უფალო, დაბადებულითა შენითა“), რაც თანხვდება ბერძნულს:

ὅτι εὐφρανάς με, κύριε, ἐν τῷ ποιήματί σου (შდრ. ლათ.: *quia delectasti me Domine in factura tua*).

ფს.91.15:

„უფრომსად განმრავლდეს სიბერესა სიპოხისასა და ფუფუნეულ იყვნენ თხრობასა“

ნამყო წყვეტილის კონტექსტუალურად მცდარი ფორმა „განმრავლდეს“ L-ში შეცვლილია მოძაველის გამომხატველი II კავშირებითით „განმრავლდენ“, რაც მართებულია, რადგან ბერძნულშიც მოძაველი დრო გვაქვს: ἔτι πληθυνθήσονται ἐν γήρει πίοι καὶ εὐπαθιοῦντες ἔσονται.

პარალელისთვის შევადაროთ სექტუაგინტის ინგლისური თარგმანი:

Then shall they be increased in a fine old age.

შევადაროთ ლათინური ვულგატაც: .

adhuc multiplicabuntur in senecta uberi.

ფს.93.17:

„არა თუმცა უფალი შემეწია მე, კნინ ერთლა [და] დამცა-ემკვდრა ჯოჯოხეთს სული ჩემი“

მ. შანიძისგან აღდგენილი „[და]“ არცერთ ნუსხაში არ დასტურდება და არც ბერძნულში აქვს შესატყვისი:

εἰ μὴ ὅτι κύριος ἐβοήθησέν μοι, παρὰ βραχὺ παρ᾿ ἤκουσεν τῷ ἔδῃ ἢ ψυχῇ μου.

ფს.95.12:

„იხარებდენ ველნი და ყოველი, რაჲ არს მათ შინა“ (შდრ. ბერძნ.: **χαρήσεται** τὰ πεδία καὶ πάντα τὰ ἐν αὐτοῖς, τότε ἀγαλιάσονται πάντα τὰ ξύλα τοῦ δρυμοῦ).

სამივე ნუსხაში სახეზეა „იხარებდინ“, რაც მცდარად იქნა მიჩნეული მ. შანიძისგან, რომელმაც სქოლიოში ჩაიტანა იგი და დაურთო: „ასეა GHL“, თუმცა „იხარებდინ“ შესაცვლელი არ იყო, რადგან წარმოადგენს „იხ-

არებლიან“ ფორმის შეკუმშულ სახეს და ყოველ ნაბიჯზე გვხვდება XI-XIII სს.-ის ნუსხებში, თანაც ანალოგიური ფორმები, არა მხოლოდ ბრძანებითის, არამედ Futurum indicativis-ის აღსანიშნავად, მკვეთრად ნიშანდობლივი სწორედ წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანებისთვის. თუნდაც 139-ე ფსალმუნის მე-11 მუხლში სახეზეა იგივე ფორმა: „დაეცემოდინ მათ ზედა ნაკუერცხალნი ცეცხლისანი“ (შდრ. ბერძნ.: *πεσοῦνται ἐπ’ αὐτοὺς ἄσθρακες, ἐν πυρὶ καταβαλεῖς αὐτοὺς, ἐν ταλαιπωρίαῖς οὐ μὴ ὑποστῶσιν*. საგულისხმოა, რომ ამჯერად მკვლევარი აღარ ცვლის ზემორე ფორმას და მხოლოდ სქოლიოში აღნიშნავს: „დაეცემოდინ] ასეა GHL“). აი, კიდევ რამდენიმე ანალოგიური ნიმუში „კურთხევათა“ გიორგისეული თარგმანრედაქციიდან (ხელნ. Sin.73 XII-XIII სს.-ისა): „ლოცვაა ლხინებისა მათ ზედა, რომელნი ზიარებისაგან განყენებულ იყვნენ და ახლად ეზიარებოდინ“ (იხ. „დიდნი კურთხევანი“, გამოსცა ე. ჭელიძემ, თბ. 2002 წ., გვ.82); „მგზავრ იტყოდინ ამათ დასდებელთა“ (იქვე, გვ.213); „წინაუძოდინ და მგალობელნი ამას დასდებელსა იტყოდინ“ (იქვე, გვ.445; შდრ. იქვე: „ერთობით ყოველნი იტყოდინ ამას ფსალმუნსა“, გვ.442) და მრავალი სხვა.

ფს.100.2:

„გიგალობდე და გულისჯმა-ვყო გზასა უბიწოსა; ოდეს მოხვდე ჩემდა? ვიდოდი მე უმანკოებითა გულისა ჩემისადათ შორის სახლისა ჩემისა“

L ნუსხაში გვაქვს არა „ვიდოდი“, არამედ – „ვიდოდე“. თითქოს უმნიშვნელო სხვაობაა, მაგრამ წინადადების აზრი იცვლება, რადგან „ვიდოდი“ უწყვეტლის კავშირებითია და აქ მომავალს ნიშნავს („წავალ“), ხოლო

„ვილოდე“ უწყვეტელია და დაუბოლოებელ წარსულს ანუ იმპერფექტს გულისხმობს („დავდიოდი“). მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, მ. შანიძის არჩევანი („ვილოდი“) უფრო გამართლებული ჩანს, რადგან წინმსწრები ზმნები („გიგალობდე და გულისვმა-ვყო“) სწორედ კავშირებითის ფორმებია (შესაბამისად - I და II კავშირებითისა) და მომავალს გადმოსცემენ („გალობას აღვივლენ და შევიცნობ“), მაინც ბერძნული ტექსტი აშკარად ცხადყოფს, რომ მართებულია L ნუსხის „ვილოდე“, რადგან ბერძნულში სახეზეა არა მყოფადი, არამედ დაუმთავრებელი წარსული ანუ იმპერფექტი, რაც სწორედ ქართულ უწყვეტელს („ვილოდე“) შეესაბამება. აი, სათანადო ტექსტი: αὐτὸς καὶ συνήσω ἐν ὁδῷ ἀμῶμα: πότε ἦξεις πρὸς με; **διεπορευόμεν** ἐν ἀκακίᾳ καρδίᾳ μου ἐν μέσῳ τοῦ οἴκου μου.

ამრიგად, ბერძნულშია იმპერფექტი **δι-επορευόμεν**, რისი შესატყვისიც არის „ვილოდე“. ამ ფორმის მართებულობას უეჭველად ადასტურებს ისიც. რომ მითითებული **ἐπορευόμεν** კიდევ სამგზის გვხვდება „ფსალმუნთა“ წიგნში და ყველგან მისი შესატყვისი არის „ვილოდე“. მოვიტანთ ნიმუშებს: ფს.37.7: „მარადლე მწუხარე ვილოდე“ - ὄλιγ τὴν ἡμέραν σκυθραπάζων **ἐπορευόμεν**. ფს.118.45: „ვილოდე მე ფართოსა“ - **ἐπορευόμεν** ἐν πλατυσμῷ. ფს.141.4: „გზასა ამას, რომელსა ვილოდე, დამირწყეს მე მახე“ - ἐν ὁδῷ ταύτῃ, ἧ̄ **ἐπορευόμεν**, ἔκρυσαν παγίδα μοι.

მეორე მხრივ, რაც შეეხება ფორმას „ვილოდი“, იგი ყველგან მყოფადის გამომხატველი კავშირებითის შინაარსითაა დატვირთული. მაგალითად: ფს.22.4: „ვილოდი ღათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა ... - - ἐὰν γὰρ καὶ **πορευθῶ** ἐν μέσῳ σκιᾶς θανάτου...; ფს.85.11: „ვილოდი მე ჭეშმარიტებითა შენითა“ - **πορεύσομαι** ἐν τῇ ἀληθείᾳ σου.

ნულ მუხლში ასეთ გააზრებას დებენ: „რომ ხსნილი იყოს სოფელი მის მიერ“ (იხ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, თბ. 1986, გვ.788).

ბერძნულშიც და სხვაენოვან ოთხთავებშიც აქ მართლაც ვნებითი გვარია. კერძოდ, ბერძნულში გვაქვს: Ἰνα σωθῆ ὁ κίσμος δι' αὐτοῦ, ლათინურში - **ut salvetur mundus per ipsum**. დავძენთ, რომ იგივე ვნებითი გვარი გვაქვს აგრეთვე „ფსალმუნთა“ შემდეგ მუხლში: „რამეთუ შენ მიერ ვიჯსნე (= „ხსნილი ვიყო“) მე განსაცდელისაგან“ (ფს.17.30: ὄτι ἐν σοὶ ῥύσθησομαι).

ფს.107.7:

„მაცხოვრებე მე მარჯვენითა შენითა“

L-ში არ არის „მე“, რაც თანხვედბა ბერძნულს:

σωσον τῆ δεξιᾶ σου (შდრ. ლათ. *salvum fac dextera tua*).

ფს.108.4:

„სიყუარულისა ჩემისა წილ მასმენდეს“

L ნუსხა უმატებს ნაცვალსახელს „მე“ („... მასმენდეს მე“), რაც არის ბერძნულშიც:

ἀντὶ τοῦ ἀγαπᾶν με ἐνδιέβη αὐτὸν με (შდრ. ლათ. *pro eo ut me diligenter detrahebant mihi*).

ფს.118.7:

„ვისწავლნე განკითხვანი სიმაართლისა შენისანი“

სიტყვას „ვისწავლნე“ L-ში ერთვის „მე“ („ვისწავლნე მე“), რაც დასტურდება ბერძნულში:

μεμαθηκέναι με τὰ κρίματα τῆς δικαιοσύνης σου (შდრ. ინგლ. *I have learnt the judgments of thy righteousness*).

ფს.118.17:

„მომაგე მონასა შენსა, და ვცხოვნდე და დავიმარხნე სიტყუანი შენნი“

ხაზგასმული „და“ აკლია L ნუსხას, ისევე როგორც ბერძნულს:

Ἄνταπόδος τῷ δούλῳ σου· ζήσομαι καὶ φυλάξω τοὺς λόγους σου.

ფს.118.27:

„გზაჲ სიმართლეთა შენთაჲ გულისჯმა-მიყავ“

L-ში ემატება „მე“ („...გულისჯმა-მიყავ მე“), რაც კვლავაც დასტურდება ბერძნულში:

ὄδον δικαιομάτων σου συνέτισόν με (შდრ. ინგლ. Instruct me in the way of thine ordinances).

ფს.118.46:

„და ვიტყოდე მე წამებათა შენთა“

L ნუსხას აკლია „მე“, ისევე როგორც ბერძნულს: καὶ ἐλάλουν ἐν τοῖς μαρτυρίοις σου.

ფს.118.46:

„და ვიტყოდე მე წამებათა შენთა წინაშე მეფეთასა და არა მრცხუნა“

მ. შანიძის მიერ გამოყენებულ სამივე ნუსხაში გვაქვს „მრცხუნოდა“ (G-ში სიტყვა ნაწილობრივ დამახინჯებულია: „მრცხცზნდა“), რაც მკვლევარს შეუცვლია ფორმით „მრცხუნა“, თუმცა ამგვარი შენაცვლების მართებულობას ბერძნული ტექსტი არ ადასტურებს, რადგან მასში სახეზეა იმპერფექტი (καὶ ἐλάλουν ἐν τοῖς μαρτυρίοις σου

έναντίον βασιλέων και οὐκ ἠσχυσόμεν), რაც, როგორც ცნობილია, უწყვეტელს შეესაბამება. ამიტომ, უთუოდ მართებულია ხელნაწერებისეული „მრცხუენოდა“.

პარალელისთვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ხსენებული ბერძნული ზმნა იმავე მედიუმის იმპერფექტში (ოღონდ მრავლობითის მესამე პირში) ქართულად თარგმნილია სწორედ უწყვეტლით „პრცხუენოდა“:

„და იყვნეს ორნივე შიშუელ - ადამცა და ცოლი მისი - და არა პრცხუენოდა“ (შესაქ. 2.25, ACBS. შდრ. სეპტ. και ἦσαν οἱ δύο γυμνοί, ὃ τε Ἀδὰμ και ἡ γυνὴ αὐτοῦ, και οὐκ ἠσχύνοντο). რაც შეეხება ფორმას „მრცხუენა“, იგი ნამყოფი წყვეტილის შესაბამისი აორისტის გადმომცემია. მაგალითად: „და უფალი შემწე-მყო მე. ამისთვისცა არა მრცხუენა“ (ეს.50.7; შდრ. και κύριος βοήθησ μου ἐγενήθη, διὰ τοῦτο οὐκ ἐνετράπην. აქ ἐνετράπην ვნებითი გვარის აორისტია).

ფს.118.69:

„ხოლო მე ყოვლითა გულითა გამოვიძინე მცნებანი შენი“

L-ში სიტყვას „გულითა“ ემატება „ჩემითა“, რაც დასტურდება ბერძნულშიც:

ἐγὼ δὲ ἐν ὅλῃ καρδίᾳ μου ἐξερευσήσω τὰς ἐντολάς σου (შდრ. წინაათონური: „ხოლო მე ყოვლითა გულითა ჩემითა გამოვიძინე მცნებანი შენი“; შდრ. ინგლ. but I will search out thy commandments with all my heart).

ფს,118.76:

„იყავნ წყალობაჲ შენი ნუგეშინისმცემელ ჩემდა სიტყვსაებრ მონისა შენისა“

H-ში ხაზგასმულ სიტყვას ემატება „შენისა“, რაც გვხვდება ბერძნულშიც: γενηθήτω δὴ τὸ ἔλεός σου τοῦ παρακαλῆσαι με κατὰ τὸ λόγιόν σου τῷ δούλῳ σου (შდრ. წინაათონური: „იყავნ წყალობაჲ შენი ნუგეშინის-მცემელ ჩემდა სიტყუთა შენითა მონისა შენისა“; შდრ. ინგლ. Let, I pray thee, thy mercy be to comfort me, according to thy word to thy servant; შდრ.ლათ. fiat misericordia tua ut consoletur me secundum eloquium tuum servo tuo). ამ ნაცვალსახელის დამატების გარეშე ის აზრი გამოდის, რომ წინადადებაში ნაგულისხმევი „სიტყვა“ მონას ანუ თვით დავითს უთქვამს („... სიტყუსაებრ მონისა შენისა“), მაშინ როცა დავითი უფალს „ახსენებს“ მისსავე (უფლისავე) დაპირებას, რომ იგი თავის მონას წყალობასა და ნუგეშისცემას მოუვლენდა. ამიტომ, ვუმატებთ რა ხსენებულ ნაცვალსახელს, წინადადების დამაბოლოებელი სიტყვები ასეთი აზრით იტვირთება: „... სიტყვისაებრ შენისა შენი მონისადმი (ე.ი. „... იმ სიტყვის თანახმად, რაც შენ შენი მონის მიმართ თქვი“).

ფს.118.87:

„წუთლა [და] წარმწყმედდეს მე ქუეყანასა ზედა“

მკვლევარისგან აღდგენილი „[და]“ არ გვხვდება არცერთ ნუსხაში და, ისევე როგორც ზემოთ (იხ. ფს. 93.17), ამჯერადაც არც ბერძნულში აქვს მას შესატყვისი (παρὰ βραχὺ συνετέλεσάν με ἐν τῇ γῆ, ἐγὼ δὲ οὐκ ἔγκατέλιπον τὰς ἐντολάς σου), მაშინ როცა სხვა შემთხვევაში ბერძნულიც შეიცავს „და“ კავშირს:

„წუთლა, და არა იყოს უღმრთოჲ“ (ფს.36.10) - καὶ ἔτι ὀλίγον καὶ οὐ μὴ ἰπάρχη ὁ ἁμαρτωλός (შდრ. ინგლ. yet a little while, and the sinner shall not be).

უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „წუთლა“ მაკავშირებელი „და“-ს გარეშეც იტევს იმავე შინაარსს, რასაც ბერძნული *παρὰ βραχὺ*, და გვხვდება კიდევ ამ სახით: „წუთლა თუ დაიგვანონ, ერთბამად მოისპოს ყოველივე იგი ერი ეგვიპტისა“ (გამოსლ. 12.33, AKS).

ფს.118.149:

„სამართალითა შენითა მაცხოვრე“

L ნუსხა ბოლოში უმატებს ნაცვალსახელს „მე“, რაც შესატყვისს პოულობს ბერძნულში:

κατὰ τὸ κρίμα σου ἤρθόν με (შდრ. წინაათონური: „სამართალითა შენითა მაცხოვრე მე“; შდრ. ინგლ. *quick-en me according to thy judgment*).

ფს. 121.8:

„ვიტყოდე მე მშვიდობასა შენთვის“

L ნუსხას „მე“ აკლია, რაც თანხვედება ბერძნულს:

ἔλαλουν δὴ εἰρήνην περὶ σὸν (შდრ. ლათ *loquebar pacem de te*).

ფს.132.1:

„აჰა ესერა რაჲ-მე კეთილ, ანუ რაჲ-მე შუენიერ, არა-მე დამკვდრებაჲ ძმათაჲ ერთაჲ?“

სამივე ნუსხაში გარკვევით იკითხება „არამედ“. მეტიც, უკლებლივ ყველა წინაათონურ ნუსხაშიც დასტურდება მხოლოდ „არამედ“, თუმცა მკვლევარი როგორც გიორგისეულ ტექსტში, ასევე წინაათონურშიც მართესულ წაკითხვად გვთავაზობს ხსენებულ ხელნაწერებში დაუდასტურებელ „არა-მე“-ს. აშკარაა, რომ ციტირებულ მუხლ-

ში (მიუხედავად იმისა, „არამედ“-ს დავწერთ თუ „არამე“-ს) იგულისხმება „თუ არა“. მუხლის შინაარსი ასეთია: „რა არის კარგი და რა არის მშვენიერი, თუ არა დამკვიდრება ძმებისა ერთად?“ (შდრ. ბერძნ. Ἰδὸν δὴ τί καλὸν ἢ τί τερπνὸν ἄλλ’ ἢ τὸ κατοικεῖν ἀδελφοὺς ἐπὶ τὸ αὐτό;). იტევს თუ არა „არამედ“ იმავე შინაარსს, რასაც „თუ არა“? რათქმაუნდა, იტევს, როგორც ეს მართებულადაა აღნიშნული ი. იმნაიშვილის მიერ. მკვლევარი მკაფიოდ მიუთითებს, რომ ოთხთავის ძველქართულ რედაქციებში „არამედ“ გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობებით: „არა“, „არღარა“, „არცალა“, „მაგრამ“, „ხოლო“, „და“, „გარდა“, „თუ არა“ (იხ. ქართ. ოთხთავ. სიმფ.-ლექსიკონი, გვ.34-39). როდესაც ხელნაწერები, თან სხვადასხვა რედაქციისა და ეპოქისა, ერთსულოვნად ადასტურებს ერთსა და იმავე ფორმას, ამ ფორმის მართებულობაში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. მით უმეტეს, ამავე ფორმის ჭეშმარიტებას სწამებს ბერძნული ორიგინალი, სადაც, როგორც ვნახეთ, „არამედ“-ის შესატყვისად გვაქვს ἄλλ’ ἢ. ეგვევ ἄλλ’ ἢ თუნდაც სააკუთრივ „ფსალმუნებში“ კიდევ სამგზის გვხვდება და სამგზისვე მისი შესატყვისია სწორედ „არამედ“. მაგალითად: ἄλλ’ ἢ ἐν τῷ νόμῳ κυρίου τὸ θέλῃμα αὐτοῦ - „არამედ შჯულისა უფლისასა არს ნებაჲ მისი“ (ფს.1.2); οὐχ οὐτως οἱ ἀσεβεῖς, οὐχ οὐτως, ἄλλ’ ἢ ὡς ὁ χυοῦς, ὃν ἐκριπτεῖ ὁ ἄνεμος ἀπὸ προσώπου τῆς γῆς - „არა ესრე უღმრთონი, არა ესრე, არამედ ვითარცა მტუერი, რომელ აგავის ქარმან პირისაგან ქუეყანისა“ (ფს.1.4); μὴ ἡμῖν, κύριε, μὴ ἡμῖν, ἄλλ’ ἢ τῷ ὀνόματί σου δὲς δόξαν ἐπὶ τῷ ἔλθει σου καὶ τῇ ἀληθείᾳ σου - „ნუ ჩუენთჳს, უფალო, ნუ ჩუენთჳს, არამედ სახელსა შენსა ეც დიდებჲჲ“ (ფს.113.9).

ახლა მოვიტანთ ნიმუშს, სადაც „არამედ“ გამოიყენება საკუთრივ „თუ არა“-ს მნიშვნელობით: „პრქუა აბიმელიქ აბრაჰამს: არა უწყი, ვინ ყო საქმე ეგე, არცა შენ მითხარ, არცა მესმა, არამედ (אַלֶּךָ הִ) დღეს“ (შეს.21.26). კითხვითი ნაწილაკების (და თვით „რაჲ-მე“-ს) პასუხად (შდრ. „რაჲ-მე კეთილ, ანუ რაჲ-მე შუენიერ, არამედ დამკვდრებაჲ ...“ „არამედ“ ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგალითად: „რაჲ-მე არს „შემდგომად ექუსისა დღისა“ რომელ თქუს, არამედ ... ვითარცა-იგი მარკოზ და იოანე აუწყებენ“ (სინ. მრავალთ. თბ.1959, გვ.192.22); „რაჲ-მე არს საშჯელი იგი, არამედ ესე, რამეთუ ნათელი მოივლინა სოფლად ...“ (სინ. მრავალთ. გვ.197.9); „ვითარ-მე ერეოდა დედაკაცი იგი ესევითარსა მას მვნესა და ვინაჲ, არამედ სახეკეთილობითა ქმრისაჲთა ...“ (სინ. მრავალთ. გვ.215.24); „აწ ვინ წარგვქცინა ჩუენ ძლით, ანუ ვინ წარგუტყუენნა ჩუენ სოფლით, არამედ მანვე, რომელმანცა მომიყვანნა სოფლად“ (სინ. მრავალთ. გვ.265.1-2) და სხვა.

აღნიშნულ მაგალითებზე მითითებისას ი. იმნაიშვილი სამართლიანად განმარტავს „არამედ“-ს როგორც „თუ არა“ (იხ. ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთაჲ, თბ. 1975, გვ.126). დავძენთ, რომ ძველ ქართულ ძეგლებშიც ზემორე ფსალმუნური მუხლის ციტირებისას ყველგან „არამედ“ გვაქვს. დავიმოწმებთ, მაგალითად, „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“:

„ნეტარმან გრიგოლ თქუა სიტყუაჲ იგი დავითისი, ვითარმედ: „რაჲ-მე კეთილ, ანუ რაჲ-მე შუენიერ, არამედ დამკვდრებაჲ ძმათაჲ ერთად?“ (იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანიეშვილის გამოც. თბ. 1946, გვ.102).

ფს.138, სათ.:

„დასასრულსა, დავითის ფსალმუნი ზაქარიაასთჳს, განთესვასა“

H-ში არის „ზაქარიაასგან“. ბერძნულში, კერძოდ A ნუსხაში (სხვებს აკლია), გვაქვს:

Εἰς τὸ τέλος· ψαλμὸς τῷ Δαυὶδ Ζαχαρίου ἐν τῇ διασπο-
ρᾷ.

მოტანილი ტექსტი ქართულად ასე ითარგმნება: „დასას-
რულს, დავითისადმი ფსალმუნი ზაქარიასი, განთესვა-
ში“.

შესაბამისად, მართებული ტექსტია H-ში, მით უმეტეს, რომ წინარე ფსალმუნის სათაურში თვით G-შიც (და მკვ-
ლევრისგან ძირითად ტექსტში) წარმოდგენილია სწორედ
„ზაქარიაასგან“, თუმცა ბერძნული შესატყვისი იგივეა:

„ფსალმუნი დავითისი, ზაქარიაასგან“ (მდრ. ბერძნ. A
ნუსხა: ψαλμὸς τῷ Δαυὶδ Ζαχαρίου).

ფს.140.6:

„მსწავლოს მე მართალმან წყალობითა და მამხილოს
მე; ზეთი ცოდვილისაჲ ნუ განაპოხებნ თავსა ჩემსა და
მერმე ნუცალა ლოცვაჲ ჩემი ნებასა მათსა. დაინთქნენ
მანლობელად კლდისა მსაჯულნი მათნი, ისმნენ სიტყუანი
ჩემნი, რამეთუ ტკბილ არიან“

L-ში გვაქვს არა „დაინთქნენ“, არამედ - „დაინთქნეს“.
სხვაობა საგულისხმოა, რადგან კავშირებითი კილოს
„დაინთქნენ“ (= „დაინთქან“), როგორც აღენიშნავდით,
მომავლის გაგებას შეიცავს და ნიშნავს: „დაინთქმებიან“,
მაშინ როცა „დაინთქნეს“ ნამყო წყვეტილია და ნიშ-
ნავს: „უკვე დაინთქნენ“, „შთაინთქნენ“.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზემომოტანილი ვრცელი კონტექსტი შეცდომის დაშვების შესაძლებლობას შეიცავს, რადგან აღნიშნული სიტყვის წინმსწრები და მომდევნო ზმნები („მსწავლოს“, „მამხილოს“, „ისმნენ“) სწორედ კავშირებითში დგანან და მომავალს გამოხატავენ (შდრ. სეპტ. **παιδεύσει ... ἐλέγξει ... ἀκούσονται**), მაგრამ ბერძნული ტექსტი რომ ჯეროვნად გათვალისწინებული ყოფილიყო, ძირითად ტექსტში სწორედ L-ის წაკითხვა შევიდოდა, რადგან მოცემულ ადგილას ზმნა „დანთქმა“ ნამყო წყვეტილში უნდა იყოს და არა II კავშირებითში. აი, შესაბამისი ბერძნული: **κατεπόθησαν ἐχόμενα πέτρας οἱ κριταὶ αὐτῶν** (შდრ. ლათ. **absorti sunt iuncti petrae iudices eorum**; შდრ. ინგლ. **Their mighty ones have been swallowed up near the rock**).

ფს.140.10:

„მიცევ მე მახისაგან, რომელ დამირწყეს მე და საცთურისაგან, რომელნი იქმან უშჯულოებასა. შეითხინენ სათხვეველთა მათთა ცოდვილნი“

H-ში გვაქვს არა „მათთა“, არამედ – „მისთა“. ერთი შეხედვით, ამჯერადაც თითქოს „მათთა“ არის უფრო სწორი, მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ იგულისხმება არა წინამორბედ სიტყვებში ნახსენები ურჯულონი („რომელნი იქმან უშჯულოებასა“), რა აზრსაც ანიჭებს წინადადებას მრავლობითი „მათთა“, არამედ - სრულიად საპირისპირო, კერძოდ თავად უფალი ღმერთი. ამიტომაც, რომ ბერძნულის ყველა ცნობილ ნუსხაში ზემორე ნაცვალსახელი მხოლოდით რიცხვშია. აი, შესაბამისი ტექსტი:

φύλαξόν με ἀπὸ παγίδος, ἧς συνεστήσαντό μοι, καὶ ἀπὸ σκανδάλων τῶν ἐργαζομένων τὴν ἀνομίαν. πεσοῦνται ἐν ἀμφιβλήστρω αὐτοῦ ἀμαρτωλοὶ (შდრ. წინაათონური თარგმანი: „შეითხინედ სათხეველთა მისთა ცოდვილნი“; ლათ. *cadent in retiaculo eius peccatores*). ნეტარი თეოდორიტე კვირელი განმარტავს: „შეითხინენ სათხეველთა მისთა ცოდვილნი“ – ე.ი. „ღვთისთა“, რადგან ისინი, რომლებიც სხვებს მახეს უგებენ, შეპყრობილნი იქნებიან ღვთისეული სატანჯველით, როგორც რამ „სათხეველით“ (= „ბადით“) და რასაც გააკეთებენ, თვით დაითმენენ და თვითვე განმცდელნი იქნებიან იმისა, რასაც სხვებზე მოაწიევენ“ (ფსალმუნთა განმარტება“, PG.80, col.1952 A-B).

ფს.143.4:

„კაცი ამოებასა მიემსგავსა, და დღენი მისნი ვითარცა აჩრდილი წარვლენ“

L-ში გვაქვს მრავლობითი: „აჩრდილნი“. ბერძნულში, მართალია, ზოგან მრავლობითია და ზოგან მხოლობითი, მაგრამ გიორგის ტექსტისთვის უფრო მართებული გვეჩვენება მრავლობითი, რადგან ამას ეთანხმება სექტუაგინტის A ნუსხა (სხვა ნუსხებთან ერთად), რასაც უფრო ხშირად მიჰყვება გიორგი (შდრ. ἄνθρωπος ματαιότητι ἄμοιῶθη, αἱ ἡμέραι αὐτοῦ ὡσεὶ σκιά παράγουσιν. იხ. H. B. Swete-ს გამოცემა, vol. II.1, გვ.407, შესაბამისი სქოლიო).

ფს.147.4:

„რომელმან მოავლინოს სიტყუაჲ მისი ქუეყანად, და სწრაფით რბინ ბრძანებაჲ მისი; დადვის თოვლი ვითარცა მატყლი და ნისლი ვითარცა ნაცარი მიჰფინის“

L-ში გვაქვს „მოავლინის“, რაც მართებულია, რადგან საუბარია არა სამომავლო ვითარებაზე, არამედ იმაზე, რაც ამჟამად, აწმყოში ხდება.

ამას, უპირველესად, ადასტურებს ბერძნული, სადაც აწმყო ღროის მიმღეობა გვაქვს:

ὁ ἄποστέλλων τὸ λόγιον αὐτοῦ τῆ γῆ, ἕως τάχους δραμεῖται ὁ λόγος αὐτοῦ τὸν διδόντος χιόνα ὡσεὶ ἔριον, ἄμικτον ὡσεὶ σποδὸν πάσσοντος (შდრ. წინაათონური: „რომელმან მოავლინის სიტყუა მისი ქუეყანად, და წრაფით რბინ ბრძანება მისი; და დვის თოვლი ვითარცა მატყლი და ნისლი ვითარცა ნაცარი მიჰფინის“; შდრ. ლათ: qui emittit eloquium suum terrae velociter currit sermo eius, qui dat nivem sicut lanam nebulam sicut cinerem spargit ; შდრ. ინგლ. He sends his oracle to the earth). ამასვე ადასტურებს ისიც, რომ იქვე ბერძნულის აწმყოს მიმღეობები ანალოგიურადვეა გადმოტანილი: „და დვის“, „მიჰფინის“ (შდრ. ბერძნ. διδόντος ... πάσσοντος).

ფს. 148.14:

„აღამაღლოს უფალმან რქაჲ ერისა თუსისაჲ“

HL-ში სიტყვა „უფალმან“ არ გვხვდება, ისევე როგორც არც ბერძნულში. აი, სათანადო ტექსტი:

ἰψῶσει κέρασ λαοῦ αὐτοῦ (გამონაკლისი არაა მითითებული არც Swete-ს მიერ; შდრ. ლათ. exaltabit cornu populi sui).

ფს.149.9:

„ყოფად მათ შორის საშჯელი და წერილი“

დაცალკევებული „და წერილი“, რაც ერთი შეხედვით

მართებული ჩანს, წინადადებას იმ აზრს ანიჭებს, რომ უფალი წარმართებში „დადებს“ თავის მსჯავრს და წერილს ანუ ბიბლიას. აღნიშნული გაგება შენარჩუნებულია ე. დოჩანაშვილთანაც, რომელიც ასევე დაცალკეებულად წარმოგიდგენს ზემორე სიტყვებს (იხ. მცხეთ. ხელნ., თბ. 1983, გვ.277: „ყოფად მათ შორის სასჯელი და წერილი“). სინამდვილეში, მოტანილ მუხლში საუბარია მხოლოდ წერილობითი ანუ „დაწერილი სასჯელის“ შესახებ. შდრ. ბერძნ. τὸν ποιῆσαι ἐν αὐτοῖς κρίμα ἔγγραπτον. შდრ. ლათ. ut faciant in eis iudicium conscriptum; შდრ. სეპტუაგინტის ინგლ. თარგ. to execute on them the judgment written; შდრ. წინაათონური: „ყოფად მათ შორის საშჯელი, ვითარცა წერილ არს“).

ფს.151.3:

„და ვინ-მე მიუთხრას ესე უფალსა ჩემსა? და თავადმან უფალმან შეისმინა“

HL-ში ხაზგასმული „და“ კავშირი არაა, ისევე როგორც არც ბერძნულში. აი, სათანადო ტექსტი:

καὶ τίς ἀναγγελεῖ τῷ κυρίῳ μου; αὐτὸς κύριος, αὐτὸς εἰσακούει (შდრ. ინგლ. And who shall tell my Lord ? the Lord himself, he himself hears).

ფს.151.3:

„თავადმან უფალმან შეისმინა“

GH-ში მეორდება სიტყვა „თავადმან“ („თავადმან უფალმან,თავადმან შეისმინა“); რაც თითქოსდა ცთომილებად ჩანს, მაგრამ ამგვარივე ტექსტია ბერძნულშიც:

αὐτὸς κύριος, αὐτὸς εἰσακούει (შდრ. ინგლ. the Lord him-

self, he himself hears; წინათონური ხელნაწერებიდან საყურადღებოა B ნუსხა, რომელშიც ვკითხულობთ: „თავადმან უფალმან თვთ ისმინა ჩემი“).

გალ.1.2:

„ესე არს ღმერთი ჩემი, ვადიდო ესე“

HL-ში სიტყვა „ჩემი“-ს შემდეგ არის „და“ კავშირი („ესე არს ღმერთი ჩემი და ვადიდო ესე“), რაც დასტურდება ბერძნულშიც:

οὐτὸς μὲν θεός, καὶ διξάσω αὐτόν (შდრ. ლათ. iste Deus meus et glorificabo eum; შდრ. ფრანგ. c'est mon Dieu, et je le glorifierai).

გალ.1.11:

„ვინ-მე [არს] მსგავს შენდა ღმერთთა შორის, უფალო, ანუ ვინ გემსგავსოს შენ დიდებული წმიდათა შინა“

ხაზგასმული „შინა“-ს ნაცვლად L-ში გვაქვს „შორის“, რაც გაცილებით მიზანშეწონილია, რადგან საუბარი ეხება ღმერთს, რომელიც დიდებულია სწორედ წმინდანთა შორის და არა წმინდანთა შინა (შდრ. წინათონური: „ანუ ვინ გემსგავსოს შენ დიდებითა წმიდათა შორის“; შდრ. ფრანგ. თარგ. Qui donc est semblable a vous, Dieu, glorifie au milieu des saints).

გალ. 2.17:

„შესწირვიდეს ეშმაკთა მიმართ და არა ღმრთისა, ღმერთთა მათ, რომელ-იგი არა იცოდეს, ცუდთა და საწუთოდ მოხუმულთა“

სიტყვას „საწუთოდ“ L-ში ემატება: „და ახლად“, რასაც თავისი ახსნა აქვს: საქმე ისაა, რომ ბერძნულში ზემორე

ეპითეტთა („ცუდთა და საწუთოდ მოხუმულთა“) შესატყვისად გვაქვს შემდეგი სიტყვები: **καινοὶ καὶ πρόσφατοι** (ἔθυσαν δαιμονίοις καὶ οὐ θεῷ, θεοῖς, οἷς οὐκ ᾔδεισαν **καινοὶ καὶ πρόσφατοι** ἦκασιν).

პირველი ეპითეტი **καινοί**, როგორც ცნობილია, ნიშნავს სწორედ „ახალს“ (შდრ. ლათ. *immolaverunt demonibus et non Deo diis quos ignorabant novi recentisque*; შდრ. ინგლ. *They sacrificed to devils, and not to God ; to gods whom they knew not: new and fresh gods came in*). ერთი შეხედვით, L-ის წაკითხვა სწორედ მას შეესაბამება, თუმცა ხსენებულ ნუსხაში არის ზმნიზედა „ახლად“, მაშინ როცა, ბერძნულის კვალობაზე, უნდა გვექონოდა ზედსართავი „ახალთა“, ამასთან L ნუსხის „ახლად“, ბერძნული **καινοί**-სგან განსხვავებით, ეპითეტთა შორის პირველ ადგილზე არ დგას, თან საიდან უნდა გაჩენილიყო „ცუდთა“, რაც წინათონურ თარგმანშიც სახეზეა (შდრ. „უზოროვიდეს იგინი ეშმაკთა და არა შესწირვიდეს ღმრთისა, ღმერთთა მათ, რომელ-იგი არა იცოდნეს, ცუდთა, საწუთოდ მოხუმულთა“) ? ეჭვი არაა, რომ წინათონური თარგმანიც და გიორგისეულიც ეყრდნობა ისეთ ბერძნულ ტექსტს, სადაც **καινοί**-ს ნაცვლად გვექნებოდა **κενοί**, რაც ძველ ქართულად ტერმინოლოგიურად ითარგმნებოდა როგორც „ცუდნი“ და რაც ბერძნულ ნუსხებშიც და სხვადასხვაენოვან თარგმანებშიც ძალიან ხშირად აღირეოდა სიტყვაში **καινοί**, იმ ზომამდე, რომ სეპტუაგინტის ცნობილ „კონკორდანსში“ (E. Hatch and H.A. Redpath, *A Concordance to the Septuagint and the Other Greek Versions of the Old Testament, Including the Apocryphal Books*, vols. 1-3; Oxford: Oxford University Press, 1892-1906, second ed.1998)

საღვთისმეტყველო ერთეულებად გატანილ **καίνοί**-ს ფრჩხილებში პარალელურ ფორმად მიწერილი აქვს **κενοί** (p.705). ასე რომ, **καίνοί**-ს შესატყვისად ზემორე მუხლში გვაქვს „ცუდთა“, რაც უშუალო ბერძნულ დედანში შესაბამის ტერმინად უთუოდ **κενοί** გვაფიქრებინებს. რაც შეეხება L ნუსხის შენამატს „ახლად“, უეჭველია, იგი იმ ბერძნული ლექსიკური ერთეულის შესატყვისს წარმოადგენს, რომლის უკვე არსებულ ქართულ შესატყვისსაც დაერთვის.

მართლაც, ბერძნული **πρόσφατοι** გაცილებით უფრო ნიშნავს „ახლად მოხუმულს“ ანუ „ახალს“, ვიდრე – „საწუთოდ მოხუმულს“. ამიტომაც, რომ ძველ ქართულად **πρόσφατος** ტერმინოლოგიურად ითარგმნებოდა როგორც „ახალი“. მაგალითად:

„ყურძენი ახალი (**πρόσφατος**) და სკიჭი (GS: „შკიჭი“) არა ჭამოს“ (რიცხვ. 6.3, **AKSG**); „არარაჲ არს ყოველივე ახლად (**πρόσφατος**) მზესა ამას ქუეშე“ (ეკლ. 1.9, **OSS₁**); „ნუ დაუტევებ მეგობარსა ძუელსა, ნუუკუე ახალი (**πρόσφατος**) იგი არა ესწოროს მას“ (ზირაქ. 9.10, O) და სხვა.

ამრიგად, ნათელია, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელმა (ან გვიანდელმა რედაქტორმა), ერთი მხრივ, შეინარჩუნა ბერძნული **πρόσφατος**-ის შესატყვისად ადრეული რედაქციის ნაკლებადდეკავტური სინტაგმა „საწუთოდ მოხუმულთა“, მეორე მხრივ კი, მეტი ზედმიწევნითობისთვის, ამ შესატყვისს შემდეგში დაერთო გაცილებით მართებული „ახლად“, რაც L ნუსხამ შემოგვინახა.

გალ.2.20:

„ნათესავი განდრეკილი არს და ნაშობი, რომელთა თანა არა არს სარწმუნობაჲ“

HL-ში გვაქვს მრავლობითი „ნაშობნი“, რაც უთუოდ მართებულია, რადგან, ერთი მხრივ, აუცილებლად მრავლობითს მოითხოვს კონტექსტი, კერძოდ წევრ-კავშირი „რომელთა“, მეორე მხრივ კი მრავლობითი გვაქვს ყველა სხვაენოვან ტექსტში.

აი, საკუთრივ ბერძნული:

γενεὰ ἐξεστραμμένη ἐστίν, υἱοί, οἷς οὐκ ἔστιν πίστις ἐν αὐτοῖς (შდრ. წინათონური: „ნათესავი ესე განდრეკილი ნაშობნი არიან, რომელთა თანა არა არს სარწმუნოება“; ლათ. generatio enim perversa est et infideles filii; ინგლ. it is a perverse generation, sons in whom is no faith).

გალ.2.21:

„კერპებითა მათითა განმამწარეს მე“

H-ში გვაქვს: „განმარისხეს“, რაც მართებულია, რადგან თანხვედრა ბერძნულს: **παρώρισάν** με ἐν τοῖς εἰδώλοις αὐτῶν. ტერმინი **παρώρισάν** ნიშნავს: „განმარისხეს“, და არა: „განმამწარეს“ (**ὄργη** - „რისხვა“). სხვა რომ არაფერი, აღნიშნული ზმნა იქვე მეორდება და უკვე ყველა ნუსხაში „განრისხება“ გვაქვს: „ნათესავითა მით უგულისვმოდა განვარისხნე (**παροργῶ**) იგინი“. საყურადღებოა, რომ ზემორე მუხლში „განრისხება“-ს წარმოგვიდგენს წინათონური თარგმანი: „კერპებითა მათითა განმარისხნეს მე“.

გალ.2.32:

„ვენავები მათი – გომორელთაგან“

H-ში დასტურდება მსოლობითი: „ვენავი“, რაც შეესაბამება ბერძნულს: ἡ κληματις αὐτῶν ἐκ Γομορρας (შდრ. ინგლ. their vine-branch of Gomorrha).

გალ.2.38:

„აწ აღდგედ და შეგეწინედ თქუნ“

ხასგასმული „აწ“ არ არის L-ში, რაც შეესაბამება ბერძნულს: ἀναστήσασαν καὶ βοήθησάτωσαν ὑμῖν (შდრ. ლათ. surgant et opitulentur vobis).

გალ.2.42:

„ჭამდეს კორცსა სისხლთაგან წყლულებისათა, ნატყუენაეებისაგან“

H-ში გვაქვს მხოლოდითი „ნატყუენაეისაგან“, რაც შესაბამისობაშია ბერძნულთან:

καταφάγεται κρέα, ἄφ' αἵματος τραυματιῶν καὶ αἰχμαλωσίας (შდრ. ლათ. devorabit carnes de cruore occisorum et de captivitate; შდრ. ინგლ. it shall glut itself with the blood of the wounded, and from the captivity).

მართალია, ფორმა **αἰχμαλωσίας** მრავლობითსაც აღნიშნავს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი აკუზატივში უნდა იდგეს (**τὰς αἰχμαλωσίας**), ზემორე წინადადებაში კი, ცხადია, მხოლოდითის გენეტივი დასტურდება, რადგან ხსენებული სიტყვა უკავშირდება წინდებულს **ἀπο** („-გან“) ანუ საქმე გვაქვს შემდეგ კონსტრუქციასთან:

ἄφ' αἵματος τραυματιῶν καὶ [ἄφ'] αἰχμαλωσίας.

გალ.3, სათ.:

„გალობაჲ ანნამსი, დედისა სამოელისი“

L-ში ნაცვლად „გალობისა“ გვაქვს „ლოცვაჲ“. ბერძნულში დასტურდება **προσευχη**. ზედმეტია კომენტარი იმაზე, რომ **προσευχή** სწორედ „ლოცვა“ და არა „გალობა“. ამდენად, მართებულა L-ის მონაცემი.

გალ.4.6:

„მიხელა წარმართთა, და დადნეს“

L-ში გვაქვს „მიხედნა“. მართალია, ორივე ფორმა შესაძლებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას. შესაბამისი ბერძნული **ἐπέβλεψεν** (შდრ. **ἐπέβλεψεν, και ἔτάκη ἔμνη**), სწორედ ამ სახით, კიდევ რამდენიმეგზის გვხვდება „ფსალმუნთა“ წიგნში და ყველგან, სადაც გიორგის მიერ შესატყვისად „ხედვა“ ზმნაა გამოყენებული, დასტურდება საკუთრივ „ნარიანი“ ფორმა. მაგალითად:

ფს.32.13 – „ზეციით მოხედნა (**ἐπέβλεψεν**) უფალმან“;

ფს.32.14 – „სამკვდრებელით თჳსით მოხედნა (**ἐπέβλεψεν**) ყოველთა ზედა დამკვდრებულთა ქუეყანისათა“;

ფს.39.5 – „არა მიხედნა (**ἐπέβλεψεν**) ამაოებასა“;

ფს.101.18 – „მოჰხედნა (**ἐπέβλεψεν**) ლოცვასა ზედა მდაბალთასა“.

ამრიგად, ზემორე მუხლშიც უთუოდ „მიხედნა“ უნდა გვქონოდა.

გალ. 4.19:

„უფალი ღმერთი ჩემი ძალ ჩემდა“

L-ში „ჩემი“ აკლია, რაც გიორგის თარგმანისთვის უფრო მართებული გვეჩვენება, რადგან თუმცა აღნიშნული ნაცვალსახელის შესატყვისი დასტურდება სექტუაგინტის „სინურ კოდექსში“, მაგრამ იგი აკლია დანარჩენ ნუსხებს, მათ შორის A-ს ანუ „ალექსანდრიულ კოდექსს“ (იხ. Swete-ს გამოც.), რომელსაც შედარებით უფრო მიჰყვება გიორგი.

გალ.7, სათ.:

„გალობაჲ წმიდათა სამთა ყრმათაჲ“

L-ში ამჯერადაც ნაცვლად „გალობისა“ გვაქვს „ლოცვაჲ“. ბერძნულში დასტურდება $\pi\rho\omicron\sigma\epsilon\upsilon\chi\eta$.

ამდენად, მართებულია L-ის მონაცემი

გალ.7.1:

„კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო, ქებით და ღიდებით არს სახელი შენი უკუნისამდე“

L-ში „ჩუენთაო“-ს შემდეგ ემატება „და“ კავშირი („... და ქებით და ღიდებით არს ... -), რაც დასტურდება ბერძნულშიც: $\epsilon\acute{\nu}\lambda\omicron\gamma\eta\tau\acute{o}\varsigma \epsilon\acute{\iota}$, $\kappa\acute{\upsilon}\rho\iota\epsilon \acute{o} \theta\epsilon\acute{o}\varsigma \tau\acute{\omega}\nu \pi\alpha\tau\acute{\epsilon}\rho\omega\nu \eta\acute{\mu}\omega\nu$, **καὶ** $\alpha\iota\upsilon\epsilon\tau\acute{o}\nu \kappa\alpha\iota$ $\delta\epsilon\delta\omicron\delta\alpha\sigma\mu\acute{\epsilon}\nu\omicron\nu \tau\acute{o} \acute{o}\nu\omicron\mu\acute{\alpha}$ $\sigma\omicron\upsilon \epsilon\acute{\iota}\varsigma \tau\omicron\upsilon\varsigma \alpha\iota\acute{\omega}\nu\alpha\varsigma$

გალ.7.2:

„ყოველნი საქმენი შენნი სიმართლით არიან“

HL-ში ხაზგასმული სიტყვის ნაცვლად გვაქვს „ჭეშმარიტებით“ (შდრ. წინათონური: „ყოველნი საქმენი შენნი ჭეშმარიტებით არიან“). ეს შესატყვისი უფრო მართებულია, რადგან ბერძნულში გვაქვს ამ უკანასკნელის ტერმინოლოგიური ეკვივალენტი $\acute{\alpha}\lambda\eta\theta\iota\nu\alpha$, რაც, ზედმიწევნით ამ ფორმით, კიდევ ორგზის გვხვდება „ფსალმუნთა“ წიგნში და ორგზისვე სწორედ ასეა თარგმნილი. მაგალითად:

ფს.18.10 – „განკითხვანი უფლისანი ჭეშმარიტებით არიან“ ($\tau\acute{\alpha} \kappa\rho\acute{\iota}\mu\alpha\tau\alpha \kappa\upsilon\rho\acute{\iota}\omicron\upsilon \acute{\alpha}\lambda\eta\theta\iota\nu\acute{\alpha}$).

ფს. 85.15 – „და შენ, უფალო ღმერთო ჩემო, შემწყნარებელ ხარ ... და ჭეშმარიტ“ ($\kappa\alpha\iota \sigma\acute{\upsilon}, \kappa\acute{\upsilon}\rho\iota\epsilon \acute{o} \theta\epsilon\acute{o}\varsigma, \omicron\iota\kappa\tau\acute{\iota}\rho\mu\omega\nu... \acute{\alpha}\lambda\eta\theta\iota\nu\acute{o}\varsigma$).

გალ.7.16:

„ვეძიებთ პირსა შენსა. ნუ მარცხუნ“

HL-ში ემატება „ჩუენ“ („...ნუ მარცხუენ ჩუენ“), რაც დასტურდება ბერძნულშიც:

ζητοῦμεν τὸ πρόσωπόν σου, μὴ καταισχύνης ἡμᾶς (შდრ. ინგლ. we ... seek thy face. Put us not to shame).

გალ.7.17:

„არამედ შენ ყავ ჩუენ თანა სიტკბოებითა შენითა“
ნაცვალსახელი „შენ“ აკლია HL-ს, ისევე როგორც ბერძნულს:

ἀλλὰ ποίησον μεθ' ἡμῶν κατὰ τὴν ἐπιείκειάν σου (შდრ. ინგლ. but deal with us after thy lovingkindness).

გალ.7.29:

„აკურთხეულ ხარ შენ, რომელი ჰზი ქერობინთა“
H-ში ემატება „ზედა“, რაც უფრო მართებულია კონტექსტითაც და ბერძნული ტექსტის მიხედვითაც (ἐβλογημένος εἶ, ὁ ... καθήμενος ἐπὶ χερσibus).

გალ.8.3:

„აკურთხევდით ... ყოველნი ძალნი უფალსა“
L-ში ასეთი ტექსტია:
„აკურთხევდით... ყოველნი ძალნი უფლისანი უფალსა“.
ეს ტექსტი თანხვდება ბერძნულს: ἐβλογεῖτε, πᾶσαι ἀδυσνάμεις κυρίου, τὸν κύριον (შდრ. ინგლ. O all ye powers of the Lord, bless ye the Lord).

გალ.9.10:

„ვითარცა ეტყოდა მამათა ჩუენთა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა საუკუნედ“

L-ში გვაქვს „საუკუნოდ“, რაც გაცილებით მიზანშეწონილია (შდრ. ბერძნ. καθὼς ἐλάλησεν πρὸς τοὺς πατέρας ἡμῶν, τῷ Αβρααμ καὶ τῷ σπέρματι αὐτοῦ **ἕως αἰῶνος**).

გალ.9ბ.5:

„მოვსენებად შჯული წმიდაა მისი“

L-ში ნაცვლად ხაზგასმული სიტყვებისა გვაქვს: „აღთქუმისა წმიდისა მისისა“, რაც ზედმიწევნით თანხვედება ბერძნულს: **μνησθῆναι διαθήκης ἁγίας αὐτοῦ** (შდრ. ლათ. *memorari testamenti sui sancti*).

გალ.9ბ.9:

„რამეთუ წარსძლეე შენ წინაშე პირსა უფლისასა“
ხაზგასმული ნაცვალსახელი არ არის L-ში, ისევე როგორც არც ბერძნულში: **προπορεύσῃ γὰρ πρὸ προσώπου κυρίου** (შდრ. ლათ. *praeibis enim ante faciem Domini*).

გალ.9ბ.11:

„ ... მოწყალებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმომავალმან მალლით“
ფრაზა „აღმომავალმან მალლით“ შინაარსობრივად არა-ზუსტია, რადგან გულისხმობს „მალლიდან ამომავალს“, მაშინ როცა მოტანილ მუხლში საუბარია იმაზე, რომ „ჩვენ მოგვხედა აღმოსავლეთმა მალლიდან“. „აღმოსავლეთის“ ანუ ბერძნული **ἀνατολή**-ს ძველი ქართული შესატყვისია -აღმოსავალი“. სწორედ ეს სიტყვა გვხვდება L-ში: „მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მალლით“ (შდრ. ბერძნ. **ἐν οἷς ἐπεσκέψατο ἡμᾶς ἀνατολή ἐξ ἄψους**. შდრ. ლათ. *visitavit nos oriens ex alto*).

გარდა აღნიშნულისა, წინამდებარე გამოცემაში გასწორდა ორთოგრაფია, რასაც, ცხადია, აღარ აღვნიშნავთ, მიუთითებთ მხოლოდ იმას, რომ ტექსტში არსად არ ვინარჩუნებთ სრულიად მიუღებელ დაცალკეებას კომპოზიტებისას შემადგენელ ნაწილებად, რაც 50-60-იანი წლების ქართული ფილოლოგიისათვის იყო ნიშანდობლივი (ვთქვათ: „შუა დღე“, „გულის წყრომა“, „კელის ამპყრობელი“ და სხვა).

ასევე არ ვინარჩუნებთ „სჯ“ კომპლექსს („სჯული“, -სასჯელი“, „სჯა“ და მისთ), რადგან, როგორც სხვაგანაც გვაქვს აღნიშნული, წმ. გიორგი მთაწმიდლისთვის ნიშანდობლივია მხოლოდ „შჯ“ („შჯული“, -საშჯელი“, „შჯა“ და ა.შ.¹).

შევეცადეთ იმასაც, რომ პარალელური ფორმების თანაარსებობის შემთხვევაში (რაც, სავსებით შესაძლებელია, გარკვეულწილად დამახასიათებელი ყოფილიყო თვით გიორგისული ავტოგრაფისთვისაც) უპირატესობა მიგკენიჭებინა ერთ-ერთი მათგანისთვის.

დავძენთ, რომ 37.21 მუხლს ბოლოში დაეურთეთ L-ში დადასტურებული სიტყვები („და განაგდეს საყუარელი იგი ვითარცა მკუდარი მოძაგებული“), რადგან ისინი სახეზეა ზოგ ბერძნულ ნუსხაში (შდრ. ბერძნ. και ἀπέριψάν με τὸν ἀγαπητὸν ὅσσει νεκρὸν ἐβδελυμένον), თუმცა შესაძლებელია ეს სიტყვები გიორგის შემდეგ იყოს ქართულად თარგმნილი.

1. იხ. დიდნი კურთხევანი, გამოსცა ე. ჭელიძემ, თბ 2002, გვ. 68

რიგ მუხლებში არსებითი ცვლილება განიცადა პუნქტუაციამ, რასაც, ასევე, აღარ აღვნიშნავთ, რადგან „ფსალმუნთა“ მცოდნე მკითხველი ამ სახის სიახლეებს თავად შეამჩნევს. ჩვენი მხრივ მივუთითებთ, რომ პუნქტუაციის დაზუსტებისას არსებითად ვეყრდნობოდით Rahifs-ის გამოცემას, სადაც არაერთი პუნქტუაციური ხარვეზი Swete-ს პუბლიკაციისა დაძლეულია. ამასთან, ცხადია, ვითვალისწინებდით სხვადასხვაენოვან თარგმანებსაც. ნიმუშისათვის მივუთითებთ ერთ-ერთ ამგვარ გასწორებაზე:

39.11 მუხლი მ. შანიძის პუბლიკაციაში შემდეგი სახისაა:

„სიმართლე შენი არა დავფარე, გულსა შინა ჩემსა ჭეშმარიტებაჲ შენი და მაცხოვარებაჲ შენი ვთქუ“.

სექტუაგინტის Rahifs-ისეული ტექსტი ასეთია: τὴν δικαιοσύνην σου οὐκ ἔκρυψα ἐν τῇ καρδίᾳ μου, τὴν ἀλήθειάν σου καὶ τὸ σωτήριόν σου εἶπα, οὐκ ἔκρυψα τὸ ἔλεός σου καὶ τὴν ἀλήθειάν σου ἀπὸ συναγωγῆς πολλῆς.

როგორც ვხედავთ, მძიმე დასმულია სიტყვასთან „ჩემსა“ (μου,). ამას ადასტურებს სხვა თარგმანებიც. კერძოდ:

სექტუაგინტის ინგლისური თარგმანი:

I have not hid thy truth within my heart, and I have declared thy salvation.

ახალი ინტერნაციონალური ვერსია:

I do not hide your righteousness in my heart; I speak of your faithfulness and salvation.

კინგ ჯეიმსის ვერსია:

I have not hid thy righteousness within my heart; I have declared thy faithfulness and thy salvation.

ფრანგული თარგმანები:

Je ne retiens pas dans mon coeur ta justice, Je publie ta vérité et ton salut; Je ne cache pas ta bonté et ta fidélité Dans la grande assemblée (*Louis Segond*).

Je ne garde pas dans mon coeur comme un secret la délivrance que tu m'as accordée. Je proclame bien haut combien tu es fidèle et que tu m'as sauvé (*La Bible du Semeur*).

გერმანული თარგმანი (1545 წ.):

Deine Gerechtigkeit verberge ich nicht in meinem Herzen; von deiner Wahrheit und von deinem Heil rede ich; ich verhehle deine Güte und Treue nicht vor der großen Gemeinde.

რუსული სინოდალური თარგმანი:

Правды Твоей не скрывал в сердце моем, возвещал верность Твою и спасение Твое.

სომხური თარგმანი:

ყაიღაჲრიო՞ւթիւնս քո ոչ ծածկեցի ի սրտի իմում, ԿճԿ մարտო՞ւթիւն քո եւ Կփրկո՞ւթիւն քո ասացե.

ზემორე მონაცემების საფუძველზე მოტანილი ქართული ტექსტის პუნქტუაცია ასე დაზუსტდა:

„სიმართლე შენი არა დავფარე გულსა შინა ჩემსა, ჭეშმარიტებაჲ შენი და მაცხოვარებაჲ შენი ვთქუ“.

ფს.67.16 ზემორე გამოცემაში ამგვარია:

„მთაჲ ღმრთისაჲ, მთაჲ პოხილი, მთაჲ შეყოფილი და მთაჲ პოხილი“.

სიტყვას „ღმრთისაჲ“, როგორც ვხედავთ, მოსდევს მძიმე, რაც ზემორე წინადადების პირველ მონაკვეთსაც მომდევნო ჩამონათვალთა რიგში აყენებს, მაშინ როცა „მთაჲ პოხილი, მთაჲ შეყოფილი და მთაჲ პოხილი“ წარმოადგენს

პირველი სინტაგმის („მთაა ღმრთისაა“) განმარტება-დახსიათებას და მათ შორის აუცილებლად იგულისხმება „არს“ ზმნა (ე. ი. რომ „მთაა ღმრთისაა“ არის „მთაა პოხილი, მთაა შეყოფილი და მთაა პოხილი“). ამიტომ, „ღმრთისაა“-ს შემდეგ ან არანაირი ნიშანი არ უნდა, ანდა შესაძლებელია დაისვას ტირე („მთაა ღმრთისაა - მთაა პოხილი; მთაა შეყოფილი და მთაა პოხილი“; შდრ. ბერძნ. ὄρος τοῦ θεοῦ ὄρος πίον, ὄρος τετυραμένον, ὄρος πίον. შდრ. ინგლ. The mountain of God is a rich mountain ; a swelling mountain, a rich mountain).

ახლა ფს. 88.19 ვნახოთ:

„რამეთუ უფლისაა არს შეწევნაა და წმიდისა, ისრაელ, მეუფისა ჩუენისაა“

სიტყვა „ისრაელის“ წინ დასმული მძიმე, რაც სხვა გამოცემებშიც მეორდება, წინადადებას იმ მნიშვნელობას აძლევს, რომ აღნიშნული სიტყვების ადრესატია სწორედ „ისრაელი“, რომელსაც თითქოსდა მიმართავს მეფსალმუნე. სინამდვილეში „ისრაელის“ წინ მძიმის დასმა არ შეიძლება, რადგან ეს სიტყვა გამოხატავს არა წრფელობით ბრუნვას, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, არამედ ნათესაობითს, რომლის შესაბამისი ბრუნვის ნიშანი გადადის იმავე ბრუნვაში მდგარ მომდევნო სიტყვებზე („მეუფ-ისა ჩუენ-ისაა“). ამ სიტყვათა გარეშე სახეზე გვექნებოდა ასეთი შესიტყვება: „წმიდისა ისრაელისაა“. ბერძნულ ტექსტში აქ იგულისხმება უფალი, რომელიც არის ისრაელის სიწმინდე ანუ იგია „წმიდაა ისრაელისაა“, ხოლო თვით ისრაელი წოდებულია „ჩვენს მეუფედ“. ამრიგად, მუხლი ასე სწორდება: „რამეთუ უფლისაა არს შეწევნაა და წმიდისა ისრაელ, მეუფისა

ჩუენისაჲ“¹ (შდრ. ὅτι τοῦ κυρίου ἡ ἀντίληψις καὶ τοῦ ἁγίου
Ἰσραηλ βασιλέως ἡμῶν. შდრ. ინგლ. for our help is of the
 Lord ; and of the Holy One of Israel, our king; შდრ. სლავ.
 ѿ ка глѣне ѿ цѣхъ зацѣплѣнїе, ѿ сѣагѡ ѿ ѿлева црѣ
 нѣшего). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მუხლში
 „მეფისა“ და „ისრაელის“ ურთიერთმიმართება სხვაგვარა-
 დაც განიმარტება, თავად ის ფაქტი, რომ ეპითეტი „წმი-
 დაჲ“ სწორედ „ისრაელს“ ეკუთვნის („წმიდაჲ ის-
 რაელისაჲ“) და რომ, შესაბამისად, მათ შორის შეუძლე-
 ბელია მძიმის დასმა, სრულიად ეჭვგარეშეა (შდრ. რუს.
 სინოდალ. Святаго Израилева; ფრანგ. **Le Saint d'Israël**).

ანალოგიური სახის მრავალი შესწორება, როგორც
 აღვნიშნეთ, „ფსალმუნებში“ განსწავლული მკითხველის მიერ
 თავისთავად იქნება შემჩნეული შესაბამის ადგილას.

და ბოლოს, აღვნიშნავთ იმასაც, რომ არსებობს საჭიროე-
 ბა გიორგისეული თარგმანის ზედმიწევნითი შედარებისა
 სექტუაგინტის დღეისათვის ცნობილ ტექსტთან და ამგ-
 ვარი შედარების შედეგად, სწორედ გიორგისეული თარგ-
 მანის საფუძველზე, სექტუაგინტასთან მაქსიმალურად თან-
 მხვედრი ახალი ქართული რედაქციის შექმნისა საკუთრივ
 სასწავლო-მეცნიერული მიზანდასახულობით, რომ მღვდელმ-
 სახურებაში ურყევად დამკვიდრებული გიორგისეული ღვ-
 თივმიმადლებული თარგმანის პარალელურად ქართულ
 ენაზე ხელმისაწვდომი იყოს სწავლებითი დანიშნულების
 ე. წ. სამუშაო თარგმანიც, რასაც დართული ექნება ეკ-
 ლესიის მამათა კომენტარები და რაც გამომეძიებელ მკითხ-
 ველს სრულ წარმოდგენას შეუქმნის სექტუაგინტის ტექს-
 ტობრივ ვითარებაზე, თუმცა ეს მომავლის საქმეა.

„ფსალმუნთა“ წინამდებარე პუბლიკაციის განხილვისას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ზოგადად „ფსალმუნთა“ ქართულად თარგმნის საკითხს, რაც თავის მხრივ ბუნებრივად უკავშირდება ქართულენოვანი ბიბლიის წარმომავლობის პრობლემას.

ბიბლიის ქართულად თარგმნის შესახებ არაერთი თვალსაზრისია ცნობილი. მკვლევართა შორის არსებით უთანხმოებას იწვევს უშუალო წყაროს იდენტიფიკაცია, თუმცა, ზოგადი ხედვით, ხსენებულ შეუთანხმებლობას რეალური საფუძველი არ უნდა ჰქონდეს. მართლაც, ერთი მხრივ, ბიბლიის უცხოენოვანი ვერსიები სახეზეა, ხელმისაწვდომია, მეორე მხრივ კი, საკუთრივ ძველი ქართული თარგმან-რედაქციებიც უდიდესწილად დადგენილია. ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ბიბლიის „უცხოენოვან ბიბლიებთან“ მიმართება მხოლოდ პირობითად ითქმის ამგვარი შთაბეჭდავი (და სირთულის შემქმნელი) განზოგადებით, სინამდვილეში კი საქმე ეხება კონკრეტულად მხოლოდ ბერძნულ და სომხურ ბიბლიებს, რაც საგრძნობლად ავიწროებს კომპარატული კვლევის არეალს და ზემოწამოჭრილი პრობლემის გადაჭრასაც შესაძინევად აიოლებს (რაც შეეხება ბიბლიის სირიულ თარგმანს, ან თუნდაც ებრაულ ორიგინალს, შესაძლოა ქართველ მთარგმნელებს მათთან ოდესღაც შეხება ჰქონდათ, მაგრამ ამით არსებითი ვითარება არ იცვლება და ბიბლიის ძველი ქართული თარგმან-რედაქციების წარმომავლობის დადგენა, ცხადია ჩვენამდე მოღწეული ტექსტების ფარგლებში, კვლავ მარტოოდენ ბერძნულ-სომხურისკენ მიმართავს კვლევის ვექტორს).

ქართული ბიბლიის ტექსტობრივი ანალიზის საქმეში საკმაოდ მოცულობითია უცხოელ მკვლევართა წვლილი,

რომელთა გუნება-განწყობანი არაიშვიათად აირეკლება ქართველ ბიბლიოლოგთა თვალსაზრისებზე და განსაზღვრავს მათი შეხედულებების პროფილს, რაც აღრმავენს დასკვნით დებულებათა შორის უთანხმოებას. სხვაგვარად, გამოკვეთილად განსხვავებული შეხედულებები ქართულ ენაზე ბიბლიის თარგმნა-რედაქტირების უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, განპირობებულია არა საკუთრივ საკვლევი მასალის რაღაც მითიური სირთულითა და წყაროთა თითქოსდა უკმარისობით, არამედ მხოლოდდამხოლოდ იმ ხარვეზით, რაც ზემონაგულისხმევ მკვლევართა კვლევით მეთოდოლოგიაშია შესამჩნევი.

მართლაც, წყაროთა სიმწირეს თუ საკვლევი მასალის სირთულეს კი არ უნდა ვუჩიოდეთ (ნებისმიერი ფასეული კვლევა-ძიება თავის პერსპექტივაში რთულია), არამედ – არასაკმარის ობიექტურობას ანუ წინასწარი შთაბეჭდილების ქვეშ ყოფნას.

მითითებული მეთოდოლოგიური ხარვეზი ქართული ბიბლიისტიკისა ფოკუსისებრ კონცენტრირდება ორ სახელგანთქმულ ძეგლზე. ესენია: მცხეთური დავითნი და ადიშის ოთხთავი¹. მათგან ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ საკუთრივ მცხეთურ დავითნზე ანუ „ფსალმუნთა“ ქართუ-

1. სრულად ორივე ძეგლის შესახებ იხ. ედიშერ ჭელიძე, წმინდა წერილის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ძირითადი ეტაპები („მცხეთური დავითნისა“ და „ადიშის ოთხთავის“ მაგალითზე), კრებულში: „ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში“, თბ.2004, გვ. 327-346. შდრ. აგრეთვე: ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ. 2005, გვ. 133-136; 186-213; 107-116; 394-398 და სხვა.

ლი თარგმანის იმ ტექსტზე, რაც ხელნაწერ A 38-ში არის დაცული.

„მცხეთური დავითნის“ ტექსტი ყ. გარიტისა და მ. შანიძის მიერ მიჩნეულია იმ ყველაზე ადრეულ, ო რედაქციად „ფსალმუნთა“ ქართული თარგმანისა, რომელიც, მათი თქმით, განსაკუთრებით ჭარბად ინარჩუნებს სომხურიდან მომდინარეობის დამადასტურებელ მონაცემებს, რაც შედარებით ნაკლებია, ასკენიან ისინი, მომდევნო 9 რედაქციაში და კიდევ უფრო ნაკლები – გიორგისეულში.

მაშ, ხსენებულ მკვლევართა შეხედულება ერთია. კერძოდ:

„ფსალმუნნი“ თავდაპირველად უთუოდ სომხურიდან ითარგმნა ქართულად. ეს პროტოთარგმანი, მართალია, ჩვენამდე უშუალოდ არ მოღწეულა, მაგრამ იგი ყველაზე კარგად (საკუთრივ არმენიზმების მხრივ) შემონახულია სწორედ „მცხეთურ დავითნში“. ხსენებული თარგმანი შემდეგში (ზემორე მკვლევართა მითითებით, VII ს-დან) სწორდება ბერძნულის მიხედვით. შესაბამისად, „ფსალმუნთა“ ქართულ რედაქციებში დადასტურებული ბერძნიზმები მეორეულია, გვიანდელია, ხოლო არმენიზმები თავდაპირველია, უადრესი თარგმანისეულია.

მ. შანიძე შენიშნავს:

„უშუალო წყარო ძველი ვერსიებისთვის სომხურია, განსაკუთრებით A-სთვის“¹ (A გულისხმობს „მცხეთური დავითნის“ ხელნაწერს).

კიდევ:

1. მ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ. 1979, გვ. 124.

„CԳ-ს არქეტიპი სომხურიდან იყო ნათარგმნი“ (გვ. 153); „უძველესი ქართული თარგმანის დედნად უნდა ვივარაუდოთ ძველი სომხური თარგმანი, რომელიც ჩვენამდე მოღწეული არ არის“ (გვ. 153). „C ბუნებრივად იკავებს ყველაზე ძველი არქაული ვერსიის ადგილს, ხოლო Գ მის მომდევნოდ უნდა მივიჩნიოთ“ (გვ. 156); „ფსალმუნის C და Գ ვერსიებისთვის პირველადი არქეტიპი სომხურის მიმდევნო უნდა ყოფილიყო... შესაძლებლობა სომხურიდან ნათარგმნი ტექსტის უფრო მოგვიანებით, VII ს. შემდეგ, ბერძნულის მიხედვით სწორებისა სავსებით სავარაუდებელია და წმინდა ისტორიული ხასიათის მოსაზრებებით შემაგრებული“ (გვ. 159).

„მცხეთური დავითნი“ ანუ ხელნაწერი A 38 დათარიღების მხრივაც პრობლემურია. როგორც ცნობილია, მას ათარიღებენ 974 წლით, 904 წლით (კ. კეკელიძე), X ს-ის ბოლო მეოთხედით (ან XI ს-ის დამდეგით), 1016 წლით¹. ეს უკანასკნელი თარიღი, ვფიქრობთ სავსებით მართებულად, მოწოდებულია მ. შანიძის მიერ². ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ უეჭველია: ხსენებულ ხელნაწერს შემონახული აქვს ცნობილი იოანე-ზოსიმეს რამდენიმე შენიშვნა, რაც გამორიცხავს აღნიშნული ნუსხის X ს-ის შუაწლებზე უფრო ადრეული ეპოქით დათარიღებას (ამ საკითხს ამჯერად არ ვეხებით). იგი მრავალი ნიშნით გვიანდებლობას ამჟღავნებს და სწორედ 1016 წელს უნდა იყოს გადაწერილი, როგორც ამას აღნიშნავს შესაბამისი ქრო-

1. იხ. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XI სს საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მ. შანიძემ, იბ. 1960. 016-017.

2. იქვე, 017.

ნოლოგიური მითითება: „შემდგომად ჯუარცუმისა ვიდრე მოაქამომდე შოდ“ (974 + 34 = 1016)¹.

აღნიშნული გარემოება ბუნებრივად ბადებს ეჭვს. რომ ასე გვიან გადაწერილ ნუსხას „ფსალმუნთა“ ყველაზე ადრეული რედაქცია ჰქონდეს შემონახული.

მაგრამ რა კვალიფიკაცია უნდა მივცეთ ხსენებული ხელნაწერის იმ მრავალ ტექსტობრივ მონაცემს, რაც მცხეთურ დავითს მკვეთრად განასხვავებს ყველა სხვა ნუსხისგან და გამოკვეთილად უახლოებს მას სომხურს?

დასმულ კითხვაზე გადამწყვეტ პასუხს ვიღებთ საკუთრივ ნუსხის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური შესწავლიდან, რაც საბოლოო ფილოლოგიური დასკვნისთვის უაღრესად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის.

უპირველესად, აღვნიშნავთ, რომ მცხეთური დავითნი „ფსალმუნთა“ გიორგიმდელი რედაქციის შემცველი ხელნაწერებისგან (ე. ი. 9 რედაქციის ნუსხებისაგან) განსხვავდება არა მხოლოდ ცალკეული არმენიზმებით, არამედ ბერძნიზმებითაც. ეს უკანასკნელი მომენტი შენიშნულია მ. შანიძის მიერაც:

„შემდეგი ცვლილება უძველესი არქეტიპისა C და 9 რედაქციებში ცალ-ცალკე მიმდინარეობს. ცვლილება გარკვევით ბერძნულის გავლენას გვიჩვენებს. ამას ადასტურებს C-ს სომხურის მიმდევნო იკითხვისთა საპირისპირო ერთობლივი „ბერძნული“ იკითხვისები 9 რედაქციის ყველა ხელნაწერში; ამავე დროს საწინააღმდეგო შემთხვევები – ბერძნულის მიმდევნო ადგილები C-ში, 9-ს „სომხურ“ იკითხვისთა საპირისპიროდ“ (იქვე, გვ. 154).

1. იქვე.

ამრიგად, მცხეთურ დავითნში მოიპოვება როგორც ყველა სხვა ნუსხისგან განსხვავებული „სომხური“ იკითხვისები, ასევე - „ბერძნული“. მათგან „სომხური“ იკითხვისები მ. შანიძის და ჟ. გარიტის მიერ უპირობოდ მიჩნეულია უადრესი, სომხურიდან მომდინარე პროტოთარგმანის ნაშთად, ხოლო „ბერძნული“ - გვიანდელ შესწორებად.

მაგრამ რა სურათს გვიჩვენებს თვითონ ხელნაწერი?

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ მასში უკლებლივ ყველა ის არმენიზმი, რაც მხოლოდ ამ ხელნაწერთვის არის ნიშანდობლივი, აშკარად ჩასწორებულია უდიდესწილად იმავე ხელით, ე. ი. საკუთრივ მცხეთური დავითნის გადამწერისგან, ანუ X-XI სს-ის მიჯნის სკრიპტორისგან. ამასთან, აღნიშნული ჩასწორებანი, ჩვეულებრივ, მკვეთრად აშკარაა: კარგად ჩანს ამოფხეკილი ტექსტის ძირითადი ნაწილი, ხოლო გადაკეთებული ტექსტის მელანი მკაფიოდ გამოკვეთილია.

პირველ ადვილშესამჩნევ გადაკეთებას ეხვდებით მეორე ფსალმუნის მეათე მუხლში, სადაც 4 რედაქციის ნუსხებში გვაქვს ზმნიზედა „ესრეთ“ („ესრეთ¹ გულისხმა-ყავთ“). რაც შეეხება A-ს², მასშიც თავდაპირველად დაუწერიათ „ესრეთ“ (რაც, გადაფხეკის მიუხედავად, კვლავ ჩანს), შემდეგ კი ეს სიტყვა უხეშად ამოუფხეკიათ და ჩაუწერიათ ნაცვალსახელი „ესე“ („ესე გულისხმა-ყავთ“).

რის მიხედვით უნდა მომხდარიყო ამგვარი ჩასწორება?

ბერძნულში მოცემულ ადგილას არც ზმნიზედა გვაქვს, არც ნაცვალსახელი. მარტოოდენ წერია: $\sigma\nu\sigma\tau\epsilon$ („გულისხმაყავთ“; შდრ. გიორგისეული: „გულისცმა-ყავთ“);

1. C - „ესრე“; B - „ესრტო“; Ea - „ესრეთ“.

2. ქვემოთ ასე დავიმოწმებთ მცხეთურ დავითნს.

მეორე მხრივ, სომხურში სახეზეა სწორედ „ესე“ (აკუზა-ტივი: ყაყა).

აშკარაა, რომ A-ს გადამწერს დედნად ჰქონდა ლ რედაქციის ტიპის ტექსტი, რაც გადაუკეთებია სომხურის მიხედვით.

7.9 მუხლი ლ რედაქციის ნუსხებში ასეთია:

„უფალმა განსაჯოს ერი“

A-ში „ერის“ თავზე დამატებულია „თჳსი“, რასაც ბერძნულში პარალელი არა აქვს (შდრ. გიორგი: „უფალმან განსაჯნეს ერნი“), მაგრამ მისი შესაბამისი ჰქონდა („თავისი“) სახეზეა სომხურში.

35.7 ლ რედაქციის ნუსხებში ამგვარია:

„ვითარცა მთანი ღმრთისანი“.

ასევეა ბერძნულშიც (ἀσεί ὄρη θεῶν. შდრ. გიორგი: „ვითარცა მთანი ღმრთისანი“), მაგრამ A-ში გვაქვს:

„ვითარცა მთანი, ღმერთო“.

აქ „ღმერთო“ (ღ-ო) დაწერილია ამოფხეკილზე. ცხადია, ჯერ ეწერა „ღმრთისანი“, შემდეგ კი იგი გადაუკეთებიათ როგორც „ღმერთო“, რაც ზედმიწევნით თანხვედრა სომხურს: „როგორც მთები, ღმერთო“ (որպես լեռիք, Աստուած,...).

ძალიან საყურადღებოა 37.13, რომლის დასაწყისი ლ-ში და გიორგისთან (შესაბამისად, ბერძნულშიც) ამგვარია:

„მაიძულებდეს მე, რომელნი ეძიებდეს სულსა ჩემსა...“

წევრ-კავშირი „რომელნი“ A-ში შეცვლილია „და“ კავშირით:

„მაიძულებდეს მე და ეძიებდეს სულსა ჩემსა...“

საგულისხმო სწორედ ისაა, რომ A-ში სიტყვა „და“ ჩაწერილია გადაფხეკილ ადგილზე, თუმცა იმ სიტყვის

კვალი, რაც გადაფხიკეს, აშკარად ჩანს; კერძოდ, ეჭვიმუტანლად შეიმჩნევა „რ“-ს წინა ფეხი, რაც ადასტურებს, რომ გადაფხიკილი სიტყვა იყო სწორედ „რომელნი“. მაშ, ამჯერადაც აშკარაა, რომ A-ს დედანი ჳ რედაქციის ტიპის ტექსტია, რაც ნუსხის გადამწერს უხეშად ამოუფხეკია და შეუსწორებია სიტყვით „და“. მაგრამ რის საფუძველზე მოხდა აღნიშნული გადაკეთება?

ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ სომხურის საფუძველზე, რადგან სწორედ სომხურია ერთადერთი, სადაც A-ს მსგავსად „და“ კავშირი გვაქვს: ԷԻ (ბერძნულში, როგორც აღვნიშნეთ, „და“ კავშირი არ გვაქვს. იქ დასტურდება მიმღეობა οὐ ζῆτισιντες, რაც ბუნებრივად გამოდის ქართულად აღწერითი ფორმით: „რომელნი ეძიებდეს“).

ასევე, უაღრესად სიმპტომატურია 43.9 მუხლი, რომლის დასაწყისიც ჳ რედაქციის ხელნაწერში ასეა წარმოდგენილი:

„ღმრთისა მიერ ვიქებოდით“.

სიტყვა „ვიქებოდით“ შენარჩუნებულია გიორგისთანაც („ღმრთისა მიერ ვიქებოდეთ“), რადგან იგივე სურათია ბერძნულშიც: ἐν τῷ θείῳ ἐπαίνεσθῆσόμεθα (მდრ. ლათ. laudabimur, ებრ. ლათ. თარგმანით: gaudebimus).

გამონაკლისი კვლავ A ნუსხაა, სადაც ნაცვლად სიტყვისა „ვიქებოდით“ გვაქვს „ვიქადოდით“ („ღმრთისა მიმართ ვიქადოდით“), რასაც ერთადერთი პარალელი მხოლოდ სომხურში აქვს: պարծես ուք (=„ვიკვებნიდი“).

საყურადღებო ისაა, რომ ამჯერადაც A ნუსხის თავდაპირველი ტექსტი თანმხვედრი ყოფილა ჳ რედაქციის ხელნაწერებთან. კერძოდ, აშკარად ჩანს, რომ დაწერილი იყო „ვიქებოდით“, შემდეგ „ბ“ გადაუსწორებიათ

„დ“-დ, ხოლო „ქ“-სა და „დ“-ს შორის თავზე დაუ-
მატებიათ „ა“.

46.10-ში ლ რედაქციის ხელნაწერები შეიცავენ სიტყვას
„ძლიერნი“. იგივეა გიორგისთანაც. ასევეა ბერძნულშიც:
οι κραταιοι. A-შიც ჯერ დაწერილი ყოფილა სწორედ
„ძლიერნი“, შემდეგ ბოლო „-ნი“ ამოუფხეკიათ და
ჩაუმატებიათ „-ებანი“, რითაც ნაცვლად ზედსართავისა
მივიღეთ არსებითი სახელი „ძლიერებანი“. აქაც გადა-
კეთება სომხურის კვალობაზეა, სადაც სწორედ
„ძლიერებანი“ (պուրութիւնք) გვაქვს.

მკვეთრად სიმპტომატურია, აგრეთვე, 48.8, სადაც ლ
რედაქციის ნუსხებში გვაქვს შესიტყვება: „...ვერ ივსნას,
ივსნას...“, რაც კონტექსტისთვის შესაფერისია და შენარ-
ჩუნებულია გიორგისთანაც მცირედი სხვაობით: „ვერ ივ-
სნას, ივსნესა...“ (ბერძნული თანხვდება გიორგისეულს:
... ος λυτροῦται· λυτρώσεται): რაც შეეხება A-ს, მასშიც
თავდაპირველად ლ-სთან იდენტური ტექსტი ყოფილა:
„ვერ ივსნას, ივსნას...“, შემდეგ კი მეორე „ივსნას“-ს
წინ ჩაუმატებიათ კიდევ ერთი „ვერ“ („ვერ ივსნას,
ვერ ივსნას“), რაც წინადადების აზრს აუკულმართებს.
გადაკეთების წყარო ამჯერადაც სომხურია, სადაც A-
ს მსგავსად სახეზეა ორგზისი „ვერ“ (იჯ): იჯ փրկէ, էւ
იჯ փրկէ.

54.8-ში A-ს გადამწერი ფხეკს ლ რედაქციის ნუსხათა
ორსიტყვედს: „სულმოკლებისაგან და ნიავექარისა“ (რაც
თავდაპირველად მასაც დაუწერია) და ამოუფხეკილ ადგ-
ილზე გავრცობილ ტექსტს გვთავაზობს: „სულმოკლები-
საგან რისხვისამსა და გულიწრებისაგან ნიავექარისა“,
რაც ზედმიწევნით თანხვდება სომხურს (განსაკუთრებით

ეს ითქმის სომხური **სხედიობიქი**-ის კალკზე: გული-
წრებაჲ). A-ს ზემორე ტექსტის სომხურთან თანხვედრაზე
საუბრობს მ. შანიძეც (ისევე როგორც ზემომოტანილ ერთ-
ერთ ნიმუშთან დაკავშირებით: „ვითარცა მთანი, ღმერ-
თო“)¹. მაგრამ მკვლევარს აქაც კვლავ სომხურიდან მომ-
დინარე უძველესი თარგმანის ნაკვალევი ესახება და იგი
აბსოლუტურად არანაირ კვალიფიკაციას არ უკეთებს (არც
აღნიშნავს) იმ უეჭველ ფაქტს, რომ A-ში ჯერ სხვა,
ბერძნულთან და დანარჩენ ქართულ რედაქციებთან
თანხვედრი ტექსტი ყოფილა დაწერილი და მხოლოდ
შემდეგ მომხდარა, თვით ხელნაწერშივე, გადაკეთება
თავდაპირველი ტექსტისა სომხურის მიხედვით.

მსგავსი ნიმუშები თავდაპირველი ნაწერის გადაფხეკისა
და გადანაფხეკზე სომხურის მიხედვით შესწორებული
ტექსტის ჩაწერისა ხსენებულ „მცხეთურ დავითნში“ აუ-
რაცხელია, თითქმის ყოველ ნაბიჯზეა. ზოგი მათგანი
მითითებულია მ. შანიძის ზემოაღნიშნულ პუბლიკაცია-
შიც. თუმცა, ერთი მხრივ, უაღრესად საყურადღებო გა-
დასწორებათა უმრავლესობა მკვლევარს შეუმჩნეველი
დარჩენია (ყოველ შემთხვევაში, საკუთრივ პუბლიკაციაში
ისინი აღნიშნული არ არის), მეორე მხრივ კი ის მცირ-
ედიც, რაც მასვე შეუნიშნავს, ყოველგვარი კომენტარის
გარეშეა დატოვებული, მაშინ, როცა ხსენებული შემთხ-
ვეები ეჭვმიუტანლად სწამებს, რომ A-ს დედანი ყოფი-
ლა 9 რედაქციის ტიპის ერთ-ერთი ხელნაწერი, რაც
A-ს გადამწერს მნიშვნელოვანწილად შეუსწორებია

1. იხ. დასახ. წიგნი, 128-129.

სომხურის მიხედვით (თავდაპირველი ტექსტის უხეში გადაფხეკისა და ახალი, სომხურთან თანმხვედრი, ტექსტის ულაზათო ჩაწერის შედეგად).

დიდი ნაწილი გადასწორებებისა სომხურთან ერთად ბერძნულსაც თანხვდება, გამომდინარე იქიდან, რომ თანმხვედრია თვით სომხურ-ბერძნული ტექსტები. ეს ნიშნავს: A-ს გადამწერი გადაკეთებებს აწარმოებს მხოლოდ სომხურის მიხედვით, თუმცა მისეულ გადაკეთებათა ნაწილი ბერძნულთანაც თანმხვედრი წარმოჩნდება, რადგან შესაბამის ადგილებში თვით სომხურ-ბერძნულია იგივეობრივი (ამგვარ შემთხვევებშიც რომ სწორედ სომხურია A-ს გადამწერისთვის მიმართულების მიმცემი, ამას მრავალი მონაცემი ადასტურებს. კერძოდ, არსებითი ისაა, რომ სომხურ-ბერძნულის მცირედი განსხვავებების დროს A-ს გადაკეთებული ნაწილი სწორედ სომხურს თანხვდება).

მცხეთური დავითნის ტექსტი სხვა სახის შესწორებებსაც შეიცავს, რომელთა ნაწილი აშკარად გვიანდელი (და არა გადამწერისეული) ჩანამატია. ყოველი ამგვარი ადგილის შესწავლა საყურადღებოა და სხვა დროს საგანგებოდ ვიმსჯელებთ მათზე, ამჯერად კი მხოლოდ იმით შემოვიფარგლებით, რაც ჩვენი განხილვის თემას ეხება, კერძოდ დავძენთ:

A 38 ნუსხის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიურმა ანალიზმა ცხადი გახადა, რომ „ფსალმუნთა“ ის ტექსტი, რაც აღნიშნულ ხელნაწერს უკავშირდება, და რაც თავდაპირველი (არსებითად ო რედაქციის თანმხვედრი) მუხლების ცალკეულ სიტყვათა ამოფხეკითა და მათ ნაცვლად სომხურთან იგივეობრივი მონაცემების ჩას-

წორებით ჩამოყალიბდა, წარმოადგენს არა უადრეს ქართულ თარგმანთან ყველაზე ახლოს მდგომ რედაქციას, არამედ, პირიქით, გიორგიმდელ რედაქციასთან შორის ყველაზე გვიანდელს, შექმნილს 9 რედაქციის ტიპის ერთ-ერთი ნუსხის სომხურთან შეჯერების შედეგად XI ს-ის I ნახევარში. ავტორი ამ ე. წ. C ანუ თითქოსდა „უძველესი“ რედაქციისა არის თვით ის პიროვნება, ვინც გადაწერა მცხეთის დავითნი.

ეს უეჭველი ფაქტი სხვა მხრივაც იქცევს ჩვენს ყურადღებას. ისმის კითხვა:

ვის შეიძლებოდა ასე გაბედულად ეწარმოებინა „ფსალმუნთა“ ძველი თარგმანის გადაკეთება სომხურის მიხედვით?

ვფიქრობთ, ასეთი ქმედების, რბილად რომ ვთქვათ, გაბედულება მხოლოდ იმგვარ პიროვნებას შეიძლებოდა ჰქონოდა, რომელიც, მიუხედავად ქართველთა სარწმუნოების (მართლმადიდებლობის) აღიარებისა, დარწმუნებული იყო სომხური ტექსტის უპირატესობაში, საკუთრივ ამგვარი დარწმუნებულობა კი, ჩვენი აზრით, მხოლოდ დიოფიზიტ სომეხს შეგვიძლია განვეუკუთვნოთ.

მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ დიოფიზიტი სომხები სარწმუნოებრივად დაუპირისპირდნენ ოფიციალურ სომხეთს, მათ თვით სომეხი ერის და საკუთრივ სომხური ქრისტიანული პირველსათავეების განსაკუთრებული ღირსებანი ყოველთვის მთელი არსებით სწამდათ, პირველ რიგში კი, ცხადია, სომხური ბიბლიის გამორჩეული მაღლმოსილება (სომხურად ბიბლიის თარგმნა მონოფიზიტობაზე უწინარეს მოვლენად მიიჩნევა და ამ თარგმანის განსაკუთრებულობის რწმენას ზემორე დოგმატური გაუკუღმართება სომეხი დიოფიზიტისთვის, ცხადია, ხელს ვერ შეუშლიდა).

A 38 გადაფხეკა-ჩასწორებათა მხრივ იმდენად უნიკალური მოვლენაა, იმდენად გამჭვირვალეა თავხედობამდე მისული სითამამე ხსენებულ გადაკეთებათა შემსრულებლისა, რომ უნებლიედ გვიჩნდება პარალელის გავლების სურვილი ამგვარი გაუგონარი სითამამის გამოვლინების კიდევ ერთ შემთხვევასთან, რაც სპეციალისტთათვის კარგად ცნობილ „ოზანს“ უკავშირდება, რომლის შესახებაც მიქელ დაღალისონელი (XI ს.) საგანგებოდ აღნიშნავს:

„ვიხილეთ საქმე საშინელი: ოზან ვინმე, რომელ შეცებულ არს, წმიდისა ეფთჳმეს სახარებისა თარგმანისაგან¹ და დავითნისა და ღმრთისმეტყუელისაგან აუჯოცია და ჩაურთავს“ („ათონის კრებული“, გვ. 176).

ექვთიმესგან ნარედაქტირები დავითნი რომ გადამწერმა გარყვნა, ამას ხაზგასმით გვაუწყებს წმ. გიორგი მთაწმინდელიც:

„წმიდასა მამასა ეფთჳმის ნუვინ იმოწმებს! წმიდამან მამამან დავითი თარგმნა და მწერალსა ვისმე მისცა დაწერად და მან განრყუნა და უჯმარ-ყო“ (L ნუსხაზე დართული ანდერძი: იხ. ფსალმუნნი, დასახ. გამოც. 027).

ძნელი სათქმელია, მართლა შეიძლება თუ არა რაიმე კავშირი რეალურად დავინახოთ ამ ორ მოვლენას შორის, თუმცა აშკარაა, რომ A 38-ის („მცხეთური დავითნის“) გადამწერს ისევე „აუჯოცია და ჩაურთავს“ ტექსტი მის მიერ გადაწერილ ნუსხაში, როგორც ეს ოზანთან დაკავშირებით არის ნაუწყები (შეიძლებოდა გარკვეული ყურადღება სახელ „ოზანის“ უცხოობაზეც, არაქართულობაზეც მიგვექცია).

1. „სახარებისა თარგმანი“ აქ უნდა გულისხმობდეს წმ. იოანე ოქროპირის განმრტებებს მათეს და იოანეს სახარებებზე, რომლებიც ექვთიმემ თარგმნა ქართულად.

ამრიგად, „მცხეთური დავითნის“ ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიურ ანალიზს ორ უცილობელ დასკვნამდე მიყვავართ:

1. „მცხეთური დავითნის“ არმენიზებული რედაქცია შემუშავებულია XI ს-ის პირველ მეოთხედში და მას რედაქციულად არავეითარი უშუალო კავშირი არა აქვს ფსალმუნთა უადრეს ქართულ თარგმანთან, რომელიც ტექსტობრივად უთუოდ ბერძნულს უკავშირდება და არა სომხურს.

2. აღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ როდესაც რომელიმე ქართული თარგმანი არმენიზმებსაც ამჟღავნებს და ბერძნიზმებსაც, ქრონოლოგიურ უპირატესობას აპრიორი სომხურს არ უნდა ვანიჭებდეთ, რადგან როგორც ზემოთ ვნახეთ, ბერძნულიდან მომდინარე თავდაპირველი ქართული თარგმანის გვიანდელი შეჯერება სომხურთან სავსებით შესაძლებელი მოვლენა ყოფილა, რასაც სხვადასხვა მოცულობით უთუოდ არაერთგზის ექნებოდა XI ს-ის დამდეგამდეც (ე. ი. „მცხეთური დავითნის“ გადაწერის დრომდეც) ადგილი, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, სადაც სომხური ხელნაწერები გაცილებით ადვილად იქნებოდა ხელმისაწვდომი, და გასაგებიც (ყოველ შემთხვევაში, საკუთრივ სომეხი დიოფიზიტებისთვის), ვიდრე ბერძნული.



დაიბეჭდა გამომცემლობა „ფავორიტში“